

ბესარიონ ზოიძე*

სამართლის ეროვნულობის საკითხი ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესში¹

ნაშრომის მიზანია გაირკვეს სამართლის ეროვნულობის საკითხი ევროპასთან ჰარმონიზაციის პროცესში. ერთმანეთისაგანაა გამიჯნული სამართალი ერის კულტურული ფასეულობებისაგან, რომლებიც ნებისმიერ ხალხში თვითმყოფადობითა და სიმყარე-გამძლეობით ხასიათდება. სამართლის ისტორიული განვითარების პროცესიდან ჩანს, რომ სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის ხალხებს შეიძლება გააჩნდეთ ერთნაირი სამართალი. ნაშრომში შესწავლილია ქართველი ხალხის დამოკიდებულება სამართლებრივი ღირებულებებისადმი ისტორიულ კონტექსტში. აქედან ჩანს ქართული სამართლის სწრაფვა ზენაციონალურობისაკენ. ქვეყნის სურვერენიტეტი წარმოჩენილია ძირითადი უფლებების კონტექსტში. ცალკეა გამოყოფილი სამართლის ეროვნულობის საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სამართლის ინტერნაციონალიზაცია, ზენაციონალური სამართალი, სახელმწიფო სურვერენიტეტი, ადამიანის ძირითადი უფლებები, სახალხო და მსოფლიო გონი.

1. შესავალი

ამ მოხსენების გაკეთების ინტერესი განაპირობა ბოლოდროინდელმა დამოკიდებულებამ ევროპულ კულტურულ-სამართლებრივ ფასეულობებთან. საზოგადოების და სახელმწიფო ჩინოვნიკების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპა ცდილობს დაამციროს-დააქნინოს და ჩამოშალოს ქართველი ერის ეროვნული თვითმყოფადობა და შესაბამისად მისი ეროვნული პიროვნულობა. ცდომილების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ერთმანეთში გვერევა ერის კულტურა და სამართალი, რომლითაც წესრიგდება ამ ერის ცხოვრება. კულტურა მკაცრად შინაგანი თვისებაა ამათუიმ ხალხის და იგი ყალიბდება ხანგრძლივი დროის მანძილზე (შესაძლოა ეს იყოს საუკუნეები). სანამ ეს კულტურა ჩამოყალიბდება, მანამდე ამ ხალხმა ბევრჯერ შეიძლება შეიცვალოს სამართალი. მოდი ასე დავსვათ კითხვა: ჩვენ ხალხს უცხოვრია ფეოდალურ ხანაში, ამ დროს ორასი წელი რუსული იმპერიის ფარგლებში, შემდგომ 70 წელი საბჭოთა იმპერიაში, ამის შემდგომ დამოუკიდებლად, ოღონდ, დანარჩენ მსოფლიოსთან (ძირითადად ევროპასთან) ჰარმონიზაციის პროცესში, შეიცვალა თუ არა ამ ფაქტორების გავლენით ჩვენი კულტურული სახისმეტყველება? პასუხი ასეთი იქნება: არა! შესაძლოა მასში გარკვეული კორექტივები შევიდა, მაგრამ ის მაინც დარჩა იმად, რაც იყო (არ მაქვს მხედველობაში სამართლებრივი კულტურა), ქართველი დარჩა ქართველად, სომეხი სომეხად, ებრაელი ებრაელად და ასე შემდეგ. ისინი ახლაც ერთგული არიან იმ კულტურული მემკვიდრეობისა, რისი ერთგულნიც იყვნენ. გაურკვევლობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, მიახლოებით უნდა ვიცოდეთ რას ვგულისხმობთ ამ კულტურაში. ეს მით აუცილებე-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

¹ მოხსენება გაკეთდა 2025 წლის 29 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტისა და მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის ერთობლივ კონფერენციაზე. გთავაზობთ მის ვრცელ ვარიანტს. ამ წერილის გამართვაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებ თსუ დოქტორანტ ვახტანგ ნოლაიძეს.

ლია, ვინაიდან, როგორც იტყვიან, ადამიანი თავის პიროვნულობას უპირველესად მისი კულტურიდან გამომდინარე აღიქვამს.² იცხოვრო საკუთარი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, დამკვიდრებული მორალური ღირებულებებით, ნიშნავს იცხოვრო საკუთარი კულტურის მოქმედების სივრცეში. ეს ასეა, მაგრამ განვითარებას განიცდის კულტურული ცხოვრების ეს სფეროც. თუ ადრე ქალის მოტაცება არ იზრახებოდა, დღეს საზოგადოების მიდგომა სრულიად საპირისპიროა. იგივე შეიძლება ითქვას სისხლის ალების ჩვეულებაზე. მოკლედ, ჩვენი ე.წ. კულტურული ცხოვრებაც მუდმივი განვითარების პროცესშია და ისიც იცვლება. სამყაროში ყველაფერი ცვალებადია და ეს პროცესი ძირითადად ობიექტური პროცესია და მისდამი ხელოვნური გაძალიანება დიდად საფრთხილოა, თუმცა, ზოგჯერ დასაშვებია. სამართალი, როგორც კანტი ამტკიცებდა, ადამიანისათვის გარეგანია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი შეიძლება მოარგო ნებისმიერი კულტურის მქონე ხალხებს. აუცილებელია, რომ ეს გარეგანი ფენომენი არ იუცხოვოს სუბიექტის კულტურულმა სახისმეტყველებამ.

სამართლის ჰარმონიზაცია – უნიფიკაციის პროცესში ჩართვა საფრთხეს არ უქმნის ეროვნულ სახელმწიფოებსა და კულტურებს. მათი იდენტობა და თვითმყოფადობა შეიძლება შეირყეს და შეიზღუდოს უმნიშვნელოდ, ისე, რომ მათ არ მიადგეს თვალშისაცემი ზიანი. ამ კონტექსტში სახელმწიფო ჰგავს ადამიანს, რომელიც ცდილობს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში შეინარჩუნოს საკუთარი პიროვნული სახე. თუმცა, აქაც თუ გინდა, რომ კომუნიკაციის აქტიური წევრი გახდე, საერთო წესებს უნდა დაემორჩილო. სამართლებრივი სისტემებისა და ოჯახების მრავალფეროვნება იმის მაუწყებელია, რომ ადგილი აქვს ავტონომიური სამართალსუბიექტობის შენარჩუნება-დაცვის ბუნებრივ ინსტიქტს. როგორ ფიქრობთ, ხვალ რომ ქართულმა სახელმწიფომ გადაწყვიტოს გახდეს ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის წევრი – ეს მოხდება? აუცილებელია ამგვარი გადაწყვეტილება ემყარებოდეს სამართლის აღქმისა და განვითარების პროცესს საქართველოში, რაც სრულიად სხვა რამეზე მეტყველებს. თუ სახელმწიფო შეეცდება იძულებით დაამკვიდროს აღნიშნული წესრიგი, ეს მას ძალიან გაუჭირდება. მოკლედ, ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც ამათუიშ ქვეყანაში მკვიდრდება, ხალხის კულტურულ შუბლთან არ უნდა იყოს დაპირისპირებული. მოვიტანთ მაგალითს საბჭოთა სინამდვილიდან. იმ დროს, როცა ანდროპოვი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მისი ინიციატივით გამოიცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ლოთობასთან ბრძოლის სხვადასხვა ღონისძიებას. ეს პრობლემა წმინდა რუსული პრობლემა იყო, მაგრამ კანონი შეეხო ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო არყის სახდელი ქვაბების კონფისკაცია (ჩამორთმევა). წარმოდგინეთ ეს როგორი მტკივნეული იქნებოდა ქართველი ხალხისათვის, რომელსაც გააჩნდა მრავალსაუკუნოვანი კულტურა სპირტიანი სასმელების წარმოებისა. ამან განაპირობა ის, რომ ადამიანებმა დაიწყეს არყის გამოხდა არალეგალურად. ამასთან დავკავშირებით, არტურ შოპენჰაუერი ამბობს, რომ ის, რაც იმსახურებს ლეგალურობას და აკრძალულია, არსებობას აგრძელებს არალეგალური ფორმით.³

² იხ. სტავერჰაგენი რ., კულტურული უფლებები: სოციალური მეცნიერების პერსპექტივა. ნიგნში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, Lund University-ის გამომცემლობა, "Sida", თარგმანი ნანა ჯაფარიძე-ჭყონიასი, 115.

³ იხ. შოპენჰაუერი ა., სამყარო ვითარდა ნება და წარმოდგენა, ვიქტორ რცხილადის თარგმანი, გამომცემლობა "Carpe Diem", 2016, 62-63.

ამრიგად, სამართლის განვითარების პროცესის განმსაზღვრელი ვერ იქნება მარტო საკანონმდებლო ნება. ობიექტური ფაქტორები თამაშობენ აქ გადამწყვეტ როლს. ეს ფაქტორები წარმოიშობა გარკვეულ დროსა და სივრცეში და განსაზღვრავენ სამართლის განვითარების გზას. საქართველოს ისტორია ამ კონტექსტში სამ პერიოდად შეიძლება დავეყუთო: პირველი ეს იქნება ფეოდალიზმის ხანა, მეორე რუსული მმართველობის ხანა, მესამე საბჭოთა პერიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ეროვნულობის ელემენტი სხვადასხვაგვარად მოქმედებდა სამართლის განვითარებაზე. ცხადია არ გვაქვს განზრახული ყველა პერიოდი მიმოვიხილოთ. შევეხებით მხოლოდ იმათ, სადაც გამოკვეთილად ჩანს ჩვენი ხალხის ღირებულებითი ამბიციები და მასთან სახელმწიფოს დამოკიდებულება. წინასწარ, მეთოდოლოგიურ კონტექსტში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულად, მოჭარბებული ტოლერანტობის გამო სამართლისადმი მიდგომა ერთობ ფილოსოფიურად გამოიყურება. კერძოდ კი, მისი აღქმა არ ხდებოდა, როგორც მარტო ეროვნული სულის პროდუქტისა, არამედ სამართალს საქართველოში ასევე განიხილავდნენ, როგორც ზოგადსაკაცობრიო (მეტაფიზიკური) სულის პროდუქტად. აქედან ჩანს, რომ ქართულ რეალობაში იკვეთება სამართლის, როგორც ისტორიული ყოფიერების ნიშნები სახალხო გონის კონტექსტში, ისე ბუნებითი სამართლის ნიშნები. ეს კი, ქართველ ხალხს აფიქრებინებდა, რომ ის იყო იმ მსოფლიოს ორგანული ნაწილი, რომელსაც ბოლომდე არც იცნობდა. სამართლის ეს ნიშან-თვისება არ იყო ხელოვნური, განვითარების პროცესში შეძენილი, ის გენეტიკური მახასიათებელი იყო ქართველი ხალხისა. შეიძლება იფიქროთ ვაჭარბებთ, მაგრამ ეს ნამდვილად სწორია და ამას სხვადასხვა საკითხების განხილვისას ვაჩვენებთ.

2. ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენები

ვინაიდან ევროპულ სამართალთან ქართული სამართლის ისტორიულ დამოკიდებულებაზე დღემდე მაქვს საკმაოდ ვრცლად საუბარი, ამჯერა დავეკმაყოფილდები მისი მოკლე გადმოცემით.⁴ საქართველო ისტორიულად იმყოფებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის ორბიტაში, რის გამოც იგი ძლიერ გავლენებს განიცდიდა ბერძნულ-რომაული სამართლისა. ეს არ გამოორიცხავდა აღმოსავლურთან კავშირებს. მარტივად რომ ვთქვათ, ქართული კულტურა, ეს იყო ერთგვარი სინთეზი აღმოსავლური და დასავლური კულტურისა.⁵ უცხო სამართლის პროგრესული ნორმების მიმღებლობის უნარი განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა ჩვენს ქვეყანაში.⁶ ესეც მის იმ თვისებაზე მეტყველებს, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენის უტყუარი ნორმატიული მტკიცებულებაა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელშიც იყო გაერთიანებული საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთან ერთად, საქართველოში მანამდე მოქმედი სამართლის ძეგლები. ისინი მოიხსენიებიან უცხოური სამართლის ქართულ ვერსიებად და ამ აზრით, ეროვნული კანონმდებლობის ნაწილებად განიხილებოდა. მათი სახელწოდებანი მხოლოდ წარმომავლობის მაუწყებელი იყო. სწორედ აქ ჩანს ქართული სამართლის გრავიტაციული ბუნება შეითვისოს ყოველივე საუკეთესო, რასაც ქმნიდნენ სხვა ხალხები.

⁴ იხ. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005. 5-92; ბერძნულ-რომაული სამართლის ისტორიის შესახებ დეტალურად იხ: Von Lingenthal K.E.Z., Geschichte Des Griechisch-Römischen Rechts, Aalen in Württemberg, 1955.

⁵ იხ. გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., 1991, 213.

⁶ იხ. Коркунов Н. М., Лекции по общей теории права, СПб, 1898, 281.

ბერძნულ-რომაული სამართლით დაინტერესება განპირობებული იყო მასთან ისტორიული კავშირ-ურთიერთობებით, როგორც იტყვიან, კულტურულ-გეოგრაფიულ ორბიტაში ყოფნით. დიდი ნაწილი რომაული სამართლისა, რომელიც ბიზანტიური სამართლის ხანაში ჩამოყალიბდა საეკლესიო კანონმდებლობის ფორმით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში განთავსებულია „ბერძნული სამართლის“ სახელწოდებით. მისი ქართული ვერსიის წყაროა „არმენოპულოს ექვსწიგნეული“, რომელიც XIV საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი და მოქმედებდა ბიზანტიური კულტურის ქვეყნებში, როგორც იყო საბერძნეთი, საქართველო, ბულგარეთი, სომხეთი, მოლდავეთი და ა.შ. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მეორე ნაწილი იყო „მათე ვლასტარის სინტაგმა“, ასევე XIV საუკუნის ძეგლი. მისი ავტორი არმენოპულოსთან ერთად ითვლებოდა კანონიკური სამართლის უდიდეს ავტორიტეტად.⁷ „სამართალი ბერძნული“ 418 მუხლს მოიცავს და ძირითადად სამოქალაქო – საოჯახო ურთიერთობებს აწესრიგებს დელიქტების ჩათვლით. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ბერძნული სამართალი ძველ საქართველოში სამოქმედო სამართალი იყო, რაც სასამართლო პრეცედენტებითაც დასტურდება. მისი გამოყენება ასევე დასტურდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების ნაწარმოებებიდანაც. მათგან ჩანს, რომ ეს იყო სრულიად ბუნებრივი დამოკიდებულება. მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი, ვლ. სოკოლსკი წერდა: ... „ამ მხრივ საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში“.⁸

აღნიშნულს ემატება კანონიკური სამართლის ცნობილი ძეგლი – „დიდი სჯულის კანონი“, რომელიც IX საუკუნეში ითარგმნა ქართულად და მიგვანიშნებდა ბიზანტიური სამართლის ძლიერ გავლენაზე. ეს ძეგლი ცნობილია „თოთხმეტტიტულოვანი ნომოკანონის“ სახელწოდებითაც. მასში თავმოყრილი იყო საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროები ადრექრისტიანული პერიოდიდან IX საუკუნემდე. საქართველოში იგი იქცა არამარტო ნაციონალური სამართლის ძეგლად, არამედ ქართულ ნიადაგზე გაჩენილი კანონმდებლების წყაროდაც.

მაქ. კოვალევსკის შეფასებით, ქართული საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიკური სამართლიდან.⁹ მართლაც, ბიზანტიური კანონმდებლობის კვალი ატყვია საქართველოში მოქმედ რიგ სამართლის ძეგლებს, მაგალითად როგორც იყო „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა“. სხვა ისტორიული საბუთებითაც დასტურდება ქართველი ხალხის მიდრეკილება ბიზანტიელების მიმართ. ასეთი მტკიცე და უტყუარი საბუთია VI საუკუნეში რომაელი მხედართმთავრის მიერ კოლხეთის (ეგრისის) მეფის, გუბაზის მკვლელობის გამო გამართული სახალხო კრება. ამ კრებაზე ორი აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს იმასთან დაკავშირებით, ქართველები სპარსელების მხარეს უნდა დამდგარიყვნენ თუ რომაელების მხარეს. პირველისკენ იხრებოდა პოლიტიკოსი აიეტი, მეორისკენ კი ასევე პოლიტიკოსი ფარტაზი. ეს უკანასკნელი თვლის, რომ გუბაზ მეფის მკვლელობის გამო, რომაელებთან ურთიერთობა არ უნდა განყვეტილიყო. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ ერთდარეო რომაელები იყვნენ ის ხალხი, რომლებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ ქარ-

⁷ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ, თბილისი, 1963, 579-581.

⁸ იხ. *Соколовский В.*, греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI. журн. Мин. Нар. Просв. СПб., 1897, сентябрь, 39.

⁹ Мак. Ковалевский, закон и обычай на кавказе, М., 1890, 110-114, 131, 134.

თულ წეს-ჩვეულებებს და აღმსარებლობას. სპარსელების ხელში ეს ყველაფერი შეიძლება დაეკარგათ, მათ მთელი კოლხეთი რომ სპარსეთისათვის მიეერთებინათ.”¹⁰

სხვა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნთა კრებულში განთავსდა, ეს იყო „სირიულ-რომაული სამართალი“. იგი ცნობილია „სომხური სამართლის“ სახელწოდებით. ეს ძეგლი საქართველოში ძველი დროიდან მოქმედებდა. ისევ ვლ. სოკოლსკის დავიმონშებ. იგი წერს: ... „ბერძნულ-რომაული სამართალი ამ სამართლის უძველესი ძეგლის, სახელდობრ, ე.წ. სირიულ-რომაული იურიდიული კრებულის სახით, ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც სომხეთში, ისე საქართველოში“.¹¹ სომხურ სამართლად წოდებულ ნიგნში საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია „სირიულ-რომაულ სამართალს“. ვლ. სოკოლსკის აზრით, ეს არის V საუკუნეში ბასილიკე კეისრის მეფობის დროს, კერძოდ, V საუკუნის დამლევს, აღმოსავლეთში შედგენილი რომაული კანონების სომხური რედაქცია. იგი პრაქტიკულად გამოყენებადი ძეგლი იყო საქართველოში. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს ძეგლი, რომელიც სომხეთში XII საუკუნის ბოლოდან მოქმედ ძეგლს წარმოადგენდა, ქართულად თარგმნილი იქნებოდა ვახტანგ VI-ის კრებულის შედგენამდე, თუმცა, როგორც ჩანს, იგი დაკარგულა და ვახტანგ VI-ის კომისიას იგი უთარგმნია „მხითარ გოშის ნიგნთან“ ერთად.¹²

როგორც ითქვა, „სომხური სამართლის“ მეორე ნაწილს შეადგენდა „მხითარ გოშის სამართალი“. გოში სომხური მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. იგი მოღვაწეობდა XII საუკუნეში და ამავე პერიოდში დაუწყო ძეგლის წერა.¹³

ამრიგად, ქართველ კანონმდებლებს, ვახტანგ VI-ის ეპოქამდე დიდი ხნით ადრე, ინტერესი გასჩენიათ სამართლის იმ „სისტემის“ მიმართ, რომელიც შემდგომ, დიდი დოქტრინალური რეცეფციის შედეგად გახდა ევროპაში რომის სამართალზე დაფუძნებული კოდიფიკაციის პროცესების საფუძველი. საკმარისია გადავხედოთ, ჩვენს მიერ დასახელებული სამართლის ძეგლების შედგენილობას, დავინახავთ, რომ მათი პირველადი მთავარი საფუძველი იუსტინიანეს კანონმდებლობაა.¹⁴ ამ მხრივ ერთობ საინტერესოა მხითარ გოშის სამართლის წყაროები.¹⁵

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მთავარი სამიზნე იყო ბერძნულ-რომაული სამართალი. ფეოდალური სამართლის დონეზე, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა საქართველოში მისი რეცეფცია. მემკვიდრეობითი სამართლის საფუძველზე ჩვენ დავადასტურეთ, რომ რეცეფციის მდგომარეობა სინამდვილეს შეესაბამება.¹⁶ მთავარი აქ ის არის, რომ რეცეფცია სრულად გააზრებული და კონცეფციურია. ის ქართველი კანონმდებლის თავისუფალი ღირებულებითი არჩევანია და არა თავს მოხვეული.

¹⁰ იხ. აიეტისა და ფარტაზის სიტყვები კრებულში: „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი“, №1, 2021, 56-70; სიღრმისეულად და საინტერესო აქცენტებით ამ კრების დეტალები იხილეთ: ფერაძე გ., პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევები I, VI-XVIII ს.ს., თბილისი, 2017, 7 -27.

¹¹ Соколовский В., დასახ. ნაშრ. 88.

¹² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 535

¹³ იქვე, 597-598.

¹⁴ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 590.

¹⁵ იხ. იქვე, 599-600.

¹⁶ იხ. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000.

3. აღმოსავლურ სამართალთან კავშირი

დასახლებული საკითხიც გამოვიკვლიე თავის დროზე. საქართველო ასევე იმყოფებოდა აღმოსავლური სამყაროს ორბიტაშიც, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ბერძნულ-რომაულ მსოფლიოსთან კავშირი იყო. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ საქართველო პირისპირ აღმოჩნდა ისეთი დიდი სახელმწიფოების წინაშე, როგორიც ირანი და თურქეთი იყო. მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა რუსეთთან გაფორმებული გეორგიევსკის შეთანხმების (ტრაქტატის) შემდგომ. რუსეთის ცრუ დახმარებით შეგულიანებული ქვეყანა ხშირად მართო რჩებოდა აღნიშნულ ქვეყნებთან წარმოებული ომების დროს და დიდი მსხვერპლის ფასად ახერხებდა გადარჩენას. სამი დიდი იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფმა ქვეყანამ შეძლო შეენარჩუნებინა ის სამართლებრივი კულტურა, რომლის სრულყოფა-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბერძნულ-რომაულ სამართალს.

გაჩნდება ახალი კითხვა: რა კვალი დააჩნია აღმოსავლურმა სამართალმა ქართულს? პასუხი ასეთი იქნება: უპირატესად გარეგანი, ფორმალური, აღმოსავლურმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს შეეღწიათ ქართული სამართლის გულში და ეს განპირობებული იყო იმიტაც, რომ ბერძნულ-რომაულის ნიადაგზე შექმნილი ინსტიტუტები ციხე-სიმაგრესავით იცავდა ქართულ სამართალს აღმოსავლურის „შემოტევენებისგან“. ისტორიულადაა დადასტურებული, რომ აღმოსავლური გავლენა უფრო სამართლის ფორმალურ ყოფიერებას ეხებოდა, ვიდრე მატერიალურს (შინაარსობრივს). თუ სადმე შინაარსშიც მოხდა შეღწევა, ეს უმეტესად საჯარო სამართალს ეხება. კერძო ურთიერთობებიდან მიწათმფლობელობამ განიცადა აღმოსავლური გავლენები,¹⁷ თუმცა, არც ეს იყო სერიოზული ხასიათის. თურქულ-სპარსული გავლენები ძლიერი იყო მხოლოდ მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში.¹⁸

აღმოსავლური სამართლის ექსპანსია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და გარკვეული კვალი დააჩნია ჩვენს იურიდიულ ტერმინოლოგიას. ისტორიკოსი ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „არ არსებობს XVI-XVIII სს. არც ერთი ისეთი ქართული საბუთი, სადაც დიდი რაოდენობით არ იყოს მოტანილი აღმოსავლური ტერმინი“. მათი უმეტესობა სწორედ აღებულ ხანაშია ქართულში შემოხიზნული და შეთვისებული. ეს აშკარად ირანისა და ოსმალეთის გავლენით აიხსნება. მართალია, აღმოსავლური ტერმინოლოგია ადრევე იკვლევს გზას ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში (სასანელი სპარსელების, არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქების და თურქმანების დროს), მაგრამ არასდროს ისე ფართოდ არ გავრცელებულა, როგორც XVI-XVII საუკუნეებში. აღმოსავლური ტერმინი ამ დროს გამოყენებულია დიპლომატიკასა და მეტროლოგიაში, კულტურასა და მწერლობაში, ყოფა-ცხოვრებასა და ვაჭრობა-ხელოსნობაში, გადასახადების, გლეხთა ვალდებულებების, მოხელეების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და თვით სოციალური ინსტიტუტების აღსანიშნად, მაგრამ ყველაფერი ეს არ გამოდგება შესადარებელ მასალად, რადგან აღმოსავლური ტერმინი არ ჰფარავდა ქართული ფეოდალური ურთიერთობიდან გამომდინარე შინაარსს.¹⁹ სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე ტერმინს, მაგალითად, როგორიცაა „ვაზირი“, რაც ცენტრალური აპარატის დიდმოხელეს (დღევანდელი მნიშვნელობით მინისტრს) აღნიშნავდა. „ამირსპარსალარი“ აღნიშნავდა

¹⁷ იხ. ზოიძე ბ., დასახლებული ნაშრომი, 57-68.

¹⁸ იხ. იქვე, 58-59.

¹⁹ იხ. გაბაშვილი ვ., შრომები, ტ. I, 36-37.

სახელმწიფო მხედრობის, სპის წინამძღოლს, სარდალს.²⁰ თურქული წარმოშობის სიტყვა „ბე-გი“ გამოიყენებოდა თავადის, ბატონის, ფეოდალის მნიშვნელობით.²¹ იყო კერძო სამართლებრივი ტერმინებიც („ანდერძი“, „ვახში“, „განძი“, „ხუასტაგი“, „ბეითალმანი“ და ა.შ.²²

აღმოსავლური ტერმინების შემოჭრა ხდებოდა სხვადასხვა დონის სამართლებრივი აქტების საფუძველზე. განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლური ტერმინებით XIV საუკუნის საჯარო სამართლის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“, რომელიც XVIII საუკუნეში შეიქმნა. საჯარო სამართალში უცხო გავლენათა სიძლიერე განპირობებული იყო იმით, რომ მაჰმადიან დამპყრობლებს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ ერთობ ძლიერი დასაყრდენი ქართულ სამეფოებში. ეს გავლენები, როგორც ითქვა, ვერ ცვლიდა ქართული სამართლის გეზს, რომელიც მას განსაზღვრული ჰქონდა ბერძნულ-რომაულ კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობით. ცხადია, ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ქრისტიანობა, რომელიც IV საუკუნიდან (მანამდე თუ არა) გავრცელდა საქართველოში და ქართული კულტურის ბუნების განსაზღვრელი იყო. ქართველი ხალხის მართლშეგნება თავიდანვე ყალიბდებოდა და იხრებოდა დასავლური ფასეულობებისაკენ. ამ მხრივ დიდი იყო განსხვავება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ეს განსხვავებანი კარგად აღწერა შარლ ლუი მონტესკიმ სპარსულ წერილებში.²³ იქიდან ჩანს, რომ დასავლეთში ადამიანია მთავარი ღირებულება, სულერთია ეს კაცი იქნება თუ ქალი. აღმოსავლეთში ქალი ერთობ დამცრობილ-დაჩაგრულ მდგომარეობაშია, დასავლეთში სამართალი წინა პლანზე დგას, აღმოსავლეთი დასჯაზეა ორიენტირებული, მაშინ როცა დასავლეთში თავისუფლებაა მთავარი. აი რას წერს ერთ-ერთ წერილში მონტესკიე: „საფრანგეთში ხალხი, უმეტეს შემთხვევაში, უფრო თავისუფალია, ვიდრე სპარსეთში, ამიტომ დიდება ჩვენში მეტად ფასობს. ეს კეთილშობილური მისწრაფება ფრანგს განაწყობს, სიამოვნებითა და მონდომებით გააკეთოს ის, რასაც... სულთანი თავისი ქვეშევრდომების მიმართ მხოლოდ დაუსრულებელი დასჯის მუქარით ან ჯილდოს დაპირებით აღწევს“.²⁴

4. რუსული სამართლის ორბიტაში

მაჰმადიანურ ქვეყნებთან ბრძოლაში დაქანცული ქვეყანა თავისი გადარჩენის გზას ხედავდა რუსეთთან მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებაში. ამ განზრახულობით გაფორმდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“²⁵, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა საქართველოს დაპყრობის ერთგვარ იარა-

²⁰ იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VI, 1982, 264, 283.

²¹ იხ. ჯიქია ს., აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, 1960, ტ. III, გვ. 48.

²² იხ. ზოიძე ბ., დასახელებული ნაშრომი, 65.

²³ იხ. მონტესკიე შ.ლ., სპარსული წერილები, ფრანგულიდან მარინე ჭილაშვილის თარგმანი, ელფის გამომცემლობა, 2024, 163, 167, 166, 216. აღმოსავლურსა და დასავლურ აზროვნებას შორის განსხვავებაზე ასევე იხ.: იუნგი კ.გ., განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის. ნუგზარ კუჭუხიძის თარგმანი, ქუთაისი, 2005.

²⁴ იხ. იქვე, 168.

²⁵ იხ. გეორგიევსკის ტრაქტატის ობიექტური შეფასება: ოსფრიდ ნიპოლდი, საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2024; საკუთრივ რუსული სამართლის ღირებულებითი სახისმეტყველებასთან, უპირატესად საკუთრებით წერსიგთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხილეთ: Kurzynsky-Singer E., Transformation Der Russischen Eigentumsordnung, Mohr Siebeck, 2019.

ლად. ეს მართლაც განხორციელდა 1801 წელს ქართული სამეფოს გაუქმებით. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, კერძოდ, 1918 წლამდე, საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და შესაბამისად იქ რუსული კანონები მოქმედებდა. თავიდან რუსულ სამართალს ქართველი მოღვაწეები იმედით შეჰყურებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ ევროპასთან დაახლოებას. ცნობილი ფაქტია, რომ რუსები სერიოზულად იყვნენ დაინტერესებული ევროპული კულტურით, რასაც ევროპული ლიტერატურის, მათ შორის სამართლის ლიტერატურის, ფართო მთარგმნელობითი საქმიანობა ადასტურებს. არ დარჩენილა რამდენადმე ცნობილი ავტორიტეტი სამართლის მეცნიერებაში, რომლის წიგნები რუსულად არ ეთარგმნათ. ეტყობა რუსები ცდილობდნენ კანონმდებლობის კოდიფიკაცია თავიანთ ქვეყანაშიც განეხორციელებინათ, რაც ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. ე.წ. ოქტომბრის გადატრიალებამ, რაც რევოლუციითაა ცნობილი, ამას საბოლოოდ დაუსვა წერტილი და ევროპისაკენ სწრაფვა დიდი ხნით შეაჩერა. ამ პერიოდში საქართველო ძირითადად განიცდიდა რუსული სამართლის გავლენას, რაც ფაქტობრივად აღმოსავლური სამართლის ტრანსფორმირებული ვარიანტია და მორგებული იყო სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთმიმართების რუსულ კონცეფციას. ვახტანგ VI-ის კანონთა წიგნიდან რუსულ კანონებში ათიოდე მუხლის განთავსება, ცხადია, არაფრის მთქმელი იყო. ფაქტობრივად ქართული კანონები და „გეორგიევსკის ტრაქტატი“ რუსებმა ქართველებს თავზე გადაახიეს. ამით დასრულდა ძველი ეპოქა და ქართველი მოსახლეობისათვის გაუგებარი კანონების დროება დადგა. ყველა ინიციატივა საქართველოში მეფობის აღდგენისა და ქართული კანონების შექმნა-ამოქმედებისა სრული კრაზით მთავრდებოდა. ერთი მაგალითს მოვიხმობთ. დავით ბატონიშვილმა საქართველოსთვის შეადგინა სამართლის წიგნის პროექტი, ე.წ. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ და 1812 წელს რუსეთის იმპერატორს სთხოვა საქართველოს უკეთ მოწყობისათვის დაემტკიცებინა. მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ იგი სამსახურიდან დაითხოვეს და დაემუქრენ პეტერბურგიდან გაძევებით.²⁶ გარდა რუსული სამართლის ნორმებისა, დავით ბატონიშვილი თავის პროექტში ითვალისწინებს მონინავე ევროპულ აზროვნებას, ევროპის განმანათლებელთა იდეებს.²⁷

რუსული მმართველობა ე.წ. პასკევიჩის პროგრამით ცდილობდა მოეხდინა ქართული ადგილობრივი ჩვეულებების, ტრადიციების, სამართლის ნორმების იგნორირება. ივ. სურგულაძე წერს: „პასკევიჩის პროექტის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ამიერკავკასიის მხარე ისე შეეკროდა, შესისხლხორცებოდა რუსეთის სამოქალაქო პოლიტიკურ წყობას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გამხდარიყო არა მხოლოდ ენით, არამედ ფიქრითაც და გრძნობითაც რუსული ყოფილიყო.“²⁸

მოკლედ, რუსეთთან საქართველოს დაკავშირებას შედეგად მოჰყვა სამეფოს გაუქმება და ქართული კანონმდებლობის ადგილზე რუსული კანონების ამოქმედება. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც არ მოსვლიათ ქართველებს მანამდე, რუსული მმართველობის შემოღებას გამოუწვევია. საქართველოს კვლავ ჩაეხერგა ევროპისაკენ მიმავალი გზა ქართველი ხალხის რუსიფიკაციის სერიოზული მცდელობის გამო. ასეთ ვითარებაში საქართველო უძლური იყო პირდაპირი ურთიერთობები დაემყარებინა ევროპასთან.

²⁶ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დავით ფურცელაძის გამოკვლევითა და გამოცემით, თბ., 1964, 041-042.

²⁷ იქვე, 011-012, 168, 09.

²⁸ სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1985, 320.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ ამის მიუხედავად პროგრესულად მოაზროვნე ქართველების ღირებულებითი თვალსაწიერი პრინციპულად განსხვავდებოდა რუსულისგან და ელოდა მისი განხორციელების მომენტს.

5. ზეეროვნულობისაკენ სამართლის სწრაფვა

შეიძლება გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ისტორიული საბუთებით დასტურდება, რომ ქართული სამართალი არასდროს არ იყო ჩაკეტილი ნაციონალურ ციხესიმაგრეში, იგი მუდმივად ისწრაფოდა ყოფილიყო თანხმობაში სამართლის საერთო სულთან, ე.ი. ერთგვარად (შეფარდებით) მეტაფიზიკურ ფასეულობებთან. მაშასადამე, სამართალაღქმა საქართველოში სულ იყო სამართლის საერთო სულის გამოხატულება. ცხადია, ეს მთავარ ფასეულობებს ეხება, რაც დღეს ადამიანის უფლებების სახელითაა ცნობილი. მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს ამასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ჩანს სხვადასხვა სამართლებრივ ღირებულებებზე ყურადღების გამახვილებით. შეიძლება ჩვენს მიერ მოტანილი (დამოწმებული) შემთხვევები საგნის სისტემურ გადმოცემას არ პასუხობდეს, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს ქართველი კანონმდებლის ღირებულებითი შუბლის საჩვენებლად. განსაკუთრებული სიმძაფრითაა ხაზგასმები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში სამართლის სიმართლესთან და სამართლიანობასთან კავშირზე.²⁹

„მოსეს სჯულში“ შემავალი ნორმების გადმოცემა სწორედ ამ ფაქტორზე მითითებით იწყება: „სიმართლით სამართალსა შეუდექით რაითა სცხოვნდეთ“ (მუხ. 7, აბზაცი 3). კიდევ უფრო მძაფრადაა სიმართლეზე ხაზგასმა ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში. ამ ძეგლის სახელწოდებაშივეა აღნიშნული, რომ სიმართლის დაცვა მოსამართლეთა მოვალეობაა. ამიტომაცაა, რომ მსაჯული ვალდებულია „სიმართლით სამართალსა ყოფდეს“. სიმართლე, რომელიც თავად ღმერთია, განაძლიერებს ადამიანთა მოდგმას. ამიტომაცაა საჭირო მუდმივად ვისწრაფოდეთ სიმართლისაკენ და სიმართლეს „ეყოფდეთ“.³⁰ სხვაც ბევრი შეგონებანია სიმართლეზედ. მთავარი აქ ის არის, რომ სიმართლე (სამართლიანობა) კანონის (სამართლის) აუცილებელი სამშენებლო მასალაა და მისგან გადახვევა ავის მომასწავებელია. ცხადია, ნებისმიერი ხალხის სამართალშიც ეს იქნებოდა სამართლის ორგანული მახასიათებელი, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, სიმართლის უარყოფა ღმერთის უარყოფასთანაა გათანაბრებული. აკი ძეგლი გვეუბნება, რომ სიმართლე ღმერთია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიმართლე მრავალნაირია. იგი იმ დროს მოქმედი ნორმებივი სამართლის მთავარი სლოგანია და გამომდინარეობს იმ მოძღვრებიდან, რომელსაც ჩვენ წმინდა წიგნებში ვნახულობთ. ადრეც დავაფიქსირეთ ჩვენ, რომ სიმართლეს არა აქვს ეროვნება, მის წინაშე ყველა ეთნიკური, ეროვნული ჯგუფი თანასწორია. სწორედ ეს არის ქართული სამართლის ზეეროვნული ხასიათის მაჩვენებელი. მოკლედ, ძველ დროს მოქმედი პოზიტიური სამართალი უნდა ყოფილიყო თანხმობაში მართალ სამართალთან, რაც შესაძლოა ასევე ღვთის სამართალიც ყოფილიყო. მსგავსი ყურადღებიანობითაა პატივი მიგებული სომხური სამართლის ქართულ ვერსიაში. აქაც განსაკუთრებული ხაზგასმაა „მოსეს სჯულზე“, როგორც ერთგვარ პირველად წყაროზე სამართლი-

²⁹ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, 104.

³⁰ იხ. იქვე. 129.

სა, რომელიც შემდგომ ისესხეს სხვა ქვეყნებმა (ბერძნებმა, რომაელებმა, ეგვიპტელებმა).³¹ ამის გარდა, სხვადასხვა წოდებებიც კი თანასწორია სამართალში. მხითარ-გოშის სამართლის ქართულ ვერსიაში ვკითხულობთ: „ვინც მოვიდეს სამართალში, თუ თავადი, თუ გლეხი, ორნიც სწორედ უნდა დააყენონ და ღვთის გზით სამართალი ქნან მათ, შუა სწორე (მუხლი 188).³² „კათალიკოსთა სამართალიც“ იტყობინება, რომ „მართალზე არ განიკითხოს“, (მუხ. 8), გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ „მართლით განკითხვით“ (მუხ. 16).³³ საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართალიც მსგავსი განწყობილებისაა. ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული მახასიათებელი ქართული სამართლისა. ეს არის ბუნებრივი მოთხოვნილება ყველა ადამიანისა, რომ იგი სწორად განსაჯონ და სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს. კვლავ გავიმეორებ, რომ ჩვენს მიერ ამ საგანზე მრავალჯერ ხაზგასმის მიზანი ისიცაა, რომ სამართალმა დაიპყროს ადამიანთა გულები და დაავალდებულოს მსაჯულნი, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. მოსამართლეებმა მომჩივანი თავისი მართალი (სწორი) გადაწყვეტილებით სახლში უნდა გაუშვას და არა ეკლესიაში, სახელმწიფომ დანაშაულს ებრძოლოს და არა დამნაშავეს.

6. რამდენიმე ისტორიული საბუთის არსი

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ფართო იყო თვალსაზრისით მეფისა ღირებულებით კონსტიტუტში, მოვიტანთ XVI (1537-1538) საუკუნის განჩინებას ლურასაბ I-ისა იოთამ და ორბელ ბარათაშვილთა გაყრის საქმეზე.³⁴ მეფის გადაწყვეტილება ემყარება ღირებულებათა მთელ წყებას, რომელიც აღიარებული იყო ისტორიულად და წარმოადგენდა ერთგვარ სახელმძღვანელოს ქრისტიანულ ქვეყნებში. განჩინებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, მეფემან საჩინომან და ჯელმწიფემან წარჩინებულმან, უძლეველმან და ყოვლად ძლიერმან შჯულმან (სამართალმან – ბ.ზ.) ამოსიანმან (ებრაელთა წინასწარმეტყველი ძვ. წ. VIII საუკუნისა, ქადაგებდა ღვთაებრივ სამართლიანობას – ბ.ზ.), წარმართებამან არონიანმან (მოსეს უფროსი ძმა, ებრაელთა პირველი უზენაესი ქურუმი – ბ.ზ.) სიმხნემან ი[ე]სიანმან (ებრაელთა წინასწარმეტყველი – ბ.ზ.), გულკეთილობამან დავითიანმან (მეფე დავითი, იუდეველთა და ისრაელიანთა გამაერთიანებელი ძვ.წ. XI ს. მიწურული – ბ.ზ.), სიბრძემან სოლომონიანმან (ებრაელთა მეფის დავითის შვილი, რომელიც „სოლომონ ბრძენის“ სახელითაა ცნობილი – ბ.ზ.), ნათესავკეთილობამან იესიანმან, სიმართლემან ეზეკისამან (ცნობილია მართალი ეზეკიას სახელით, იყო იუდეის უსჯულო მეფის აქაზის ძე. მისი ცხოვრება ბიბლიაშია აღწერილი – ბ.ზ.), ცხებულებამან სამოელიანმან (ისრაელის მეტხუთმეტე და უკანასკნელი მსაჯული – ქრისტეს შობამდე 1046 წელზე მეტი ხნის წინ ცხოვრობდა – ბ.ზ.), ლხინებამან ფინეზიანმან (ფინეზი – აარონის ძის ელიფაზის ვაჟი, ღვთის კანონებისა და საზოგადოებრივი ზნეობის ერთგული პიროვნება – ბ.ზ.) და ჩუენ, ღმრთივ დადგენილებამ მეფე-მეფემან პატრონმან ლუარსაბმა.³⁵

ერთობ საინტერესო განჩინებაა და იგი წარმოადგენს სამართლის აღქმა-განმარტების უნიკალურ ფორმულას. მართალია განჩინებაში არსად არაა დამონებული ქართული სამართლის რომელიმე ძეგლი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ აუცილებლად გამოიყენებდა

³¹ იქვე. 226, 267,

³² იქვე, 293.

³³ იქვე, 394, 395.

³⁴ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ისიდორე დოლიძის გამოცემა, ტ. IV, 15-33, თბ., 1972, საბუთი 2.

³⁵ იხ. იქვე, 15.

მეფე, თუმცა, საბუთში არ დასტურდება. მთავარი ის არის, რომ მოცემული ფორმულა მორგებულია ნებისმიერი ქრისტიანი ხალხის სამართალზე. ეს ფაქტიც მიუთითებს ჩვენი სამართლის ზენაციონალურობაზე და იგი საუკეთესო ნიმუშია იმისა, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს მოსამართლე საქმის განხილვისას.

შემდეგი პრეცედენტი ცოტა სხვა დატვირთვისაა და ისიც მაუწყებელია სამართლის შედარებით კონტექსტში აღქმისა. საქმე ეხება ქალის სამემკვიდრეო უფლებებს, კერძოდ, სოლომონ II-ის (1789-1810 წწ) განჩინებას ხუტუ მიქელაძის ქალისთვის მამულის დამკვიდრების თაობაზე.³⁶

საქმე შემდეგშია: ხუტუ მიქელაძემ თავისი ყმა და მამული დაუტოვა (ეცყობა ანდერძით) თავის ქალიშვილს, რაც არ მოეწონათ მის მოგვარეებს – მიქელაძეებს. აღნიშნული განჩინებით დასაბუთდა, რომ ქალიც ისეთივე მემკვიდრეა, როგორც კაცი. ქალის სამემკვიდრეო უფლება ჯერ დასაბუთებულია ბიბლიური სამართლის („დაბადების სამართალი“ და „მოსეს სჯული“), ამის შემდგომ ფრანგული სამართალია მოხმობილი, შემდგომ რუსული (პეტრე პირველი ნაკაზი), ასე მიყოლებით დამონმებულია თათართა, ურიათა, კერპმსახურთა და ყოველთა სჯულიერთა თუ უსჯულოთა სამართალი. უცხო სამართლის ძეგლების შემდგომ გადანყვეტილების დასაბუთებლად დამონმებულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლები. განჩინების ფინალი ასეთია: „ამ მტკიცესა და ჭეშმარიტის სამართლით დამკვიდრა თავის შვილს ყმა და მამული თვისი ხუტუ მიქელაძემ“.³⁷

განჩინებიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე გადანყვეტილების დასაბუთებისას იყენებს (მიუთითებს აკეთებს) იმ ხალხების სამართალზე, რომელთაც (მაგალითად, თათართა, კერპთაყვანისმცემელთა, ფრანგთა, რუსთა) ჩვენს ქვეყანაში სამოქმედო ძალა არ გააჩნდათ. ეს იქ არაა მნიშვნელოვანი. ისინი გამოყენებულია სხვა მიზნით. კერძოდ, შედარებით – სამართლებრივ კონტექსტში, რათა გამოჩენილიყო ქართული სამართლის მსგავსება სხვა ხალხების სამართალთან. მეფე, ამ შემთხვევაშიც იმას ამბობს, რომ ქართული სამართალი გაუცხოებულ კი არ არის, არამედ თანმხობამია მათთან. ამით ხაზი ესმება ერთგვარ ზენაციონალურ ნორმას, რომელსაც შეესაბამება ქართული სამართალი. განჩინებაში ნათქვამია, რომ იგი ემყარება ქალის სამემკვიდრეო უფლებისადმი არამართო იმ დროს მოქმედ დამოკიდებულებას, არამედ ისტორიულსაც: „ამისთვის ჭეშმარიტი მსჯავრი და სამართალი დასაბამითგან სოფლისა გამოვიძიეთ, ვხედავთ ძველთა საუკუნეთა აღწერილთა სჯულისდებათა შორის, რომ როგორც ვაჟი, ისე ქალი არის მემკვიდრე მამისა თავისისა დანარჩენის ყმისა და მამულისა“. სწორედ ამის საჩვენებლადაა მოხმობილი სხვადასხვა სამართლის წყაროები. განა ეს ფაქტი არ მეტყველებს საქართველოში სამართლის ჭვრეტას არამართო ნაციონალურ, არამედ ზენაციონალურ სარკეში?

უცხო სამართლის წყაროსთან კავშირის უპრეცედენტო მაგალითს მიეკუთვნება მხითარ-გოშის სამართალი. ამ ძეგლის ქართულ ვერსიაში კარგად ჩანს სამართლის საერთო იდეასთან კავშირი. სამართლის წიგნის შესავლიდან ვგებულობთ, რომ მისი ერთერთი მთავარი წყარო ბუნებითი სამართალია, ასევე ყველა ქრისტიანი ხალხის სამართალი. შეიძლება უცნაურად ჩანდეს, მაგრამ აღნიშნული სამართლის წყაროდ დასახელებულია „მაჰმადიანთა სჯული, კერძოდ, მოსეს სჯულიდან აღებული ნორმები. შემდეგი წყარო ბიბლიაა, უმთავრესად „მოსეს სამართალი“, ასევე ახალი აღთქმაც, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა

³⁶ იხ. დოლიძე ის. (რედ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, საბუთი 205, 431-434.

³⁷ იხ. იქვე, 431-434.

დადგენილებანი, სომხური ჩვეულებითი სამართალი, სასამართლო პრაქტიკა (ე.წ. „ჭკვიან კაცთა სასამართლო გადაწყვეტილებანი“), ვარდაპეტების სჯულის მიმდევართა – იურიდიული კონსულტაციები. ისინი შეიძლება შევადაროთ რომაულ სწავლულ იურისტებს.³⁸

როგორც ვხედავთ, მხითარ გოშის სამართლის წიგნის წყაროები ერთობ მრავალფეროვანია და ასეთია არამარტო ქრისტიანული ხალხების სამართალი, არამედ მაჰმადიანთა სჯულიც. ზემოთ ჩვენს მიერ მემკვიდრეობის თაობაზე მოტანილ განჩინებაშიც მსგავს მოვლენაზეა მითითებული. განჩინებაში, როგორც მტკიცებულებაზე, მითითებულია თათართა და კერპმსახურთა სამართალი. ეს იშვიათი და უჩვეულო ამბავია სამართლის ისტორიაში, როცა ქრისტიანი ხალხი თავისი სამართლის წყაროდ მიიჩნევს მაჰმადიანურ სამართალს. მართალია, საუბარია საღვთო სჯულიდან შეთვისებულ ნორმებზე, მაინც საყურადღებო მოვლენაა. სამართლის დიდ კოდიფიკაციებს, არა მგონია ვცდებოდე, ასეთი რამ არ ახსოვს. საპირისპირო შემთხვევები კი დასტურდება. ამის მაგალითი თურქეთია.

აღნიშნული საბუთებიდან (სასამართლო აქტებიდან და სამართლის ძეგლებიდან) ჩანს, რომ ქართული კულტურა ხასიათდებოდა სხვა ხალხების კულტურათა არნახული მიმდებლობით. ის არ იყო მკაცრად „ეროვნულ-სეპარატისტული“. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქცია მერაბ კოსტავამ.³⁹ მისი დაკვირვებით, მთელი ჩვენი კულტურის მესვეურთა მოღვაწეობა-მეცადინეობა მიმართული იყო სხვა ხალხების საუკეთესო ღირებულებების შეთვისება-გადმოღებისაკენ. ამაში დიდ როლს ასრულებდა მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართველებმა სახარება თარგმნეს რუსეთის სამთავროების დაარსებამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში, როცა რუსეთში მთარგმნელობითი საქმიანობა ჩანასახშიც არ იყო, ჩვენში არსებობდა მთარგმნელობითი ხელოვნების უძველესი სკოლა. ეს იყვნენ იოანე, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, რომლებიც თარგმნიდნენ ბერძნულიდან ქართულად და ასევე ქართულიდან ბერძნულად. ამან კი საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიური და თეოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნას.⁴⁰ მართალია, ქართული კულტურის საყრდენი ქრისტიანული კულტურა იყო, „მან ქრისტიანულ-ბიბლიური კულტურის ღრმა სინთეზი განახორციელა არამარტო საკუთარ, არამედ ანტიკურ და სხვა წარმართულ კულტურებთანაც. ამგვარ სინთეზს ვხედავთ ამირანის ლეგენდაში, „სიბრძნე-ბალავარისაში“ – ქრისტიანობის შეწყვილება ბუდიზმთან, ფსევდოდოქონისეს – იმავე პეტრე იბერიის ტრაქტატებში, „ქილილასა და დამანას“ სულხან-საბასეულ თარგმანში – ქრისტიანობისა და აღმოსავლური სიბრძნის სინთეზი და ა.შ.⁴¹

ქართული კულტურის ზენაციონალური ბუნება ყველაზე კარგად ჩანს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. მერაბ კოსტავა წერს: „რუსთაველმა ქართველი ხალხისათვის განახორციელა უფრო ფართო, ამ დროისათვის თითქმის ყოვლისმომცველი კულტურათა სინთეზი, თანაც ყველასათვის მისაწვდომი პოეტური ფორმით. მისი „ვეფხისტყაოსანი“ ესაა ქართული პოეტური გენიის პრიზმაში გარდატეხილი გასაოცარი სინთეზი ღრმად ნაციონალური, წარმართულ-ანტიკური, პირველქრისტიანული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური, რაინდულ-ქრისტიანული, ძველჰინდური (პარალელი რამაიანას სიუჟეტთან), ძველპარსული (შუალამის მზე „ბენდ-ავესტაში“), მანიქეველური და სუფისტური კულტურებისა.“⁴²

³⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 599-601.

³⁹ იხ. კოსტავა ბ., ფიქრები ქართულ კულტურაზე, თბ., 1989.

⁴⁰ იქვე, 7-8.

⁴¹ იქვე, 26.

⁴² იქვე, 27.

როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ეს შეფასება ქართული კულტურისა, ცხოვრებისეული ფაქტები გვაფიქრებინებს მის სიმართლეში. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ქართული სამართალიც ვერ იქნებოდა ვიწრო ნაციონალური ხასიათის. ზენაციონალურობაში ჩანს ქართული კულტურის ეროვნულობა.

7. ერთიანი სამართლებრივი კულტურისათვის ბრძოლა

ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია სამართლის ძეგლების სიმრავლე. ამას განაპირობებდა ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაქსაქსულობა. საქართველოშიც ასეთი მდგომარეობა იყო. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შემავალი სამართლის წიგნები თავის დროზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის შემუშავდა, რაც მათი ავტონომიური (დამოუკიდებელი) სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მაღიარებელი გარემოებაც იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამას უფრო ფორმალური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე შინაარსობრივ-მატერიალური. სამართლის ძეგლთა სულისკვეთება და ღირებულებითი არქიტექტონიკა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზოგიერთი მახასიათებლის გარდა. იგივე უნდა ითქვას ხალხის მართლშეგნებაზეც. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო ქრისტიანული კულტურის გავლენა, რაც განაპირობებდა სამართლის ერთიანობასაც. ვახტანგ VI, როცა თავის სამართლის წიგნთა კრებულში აერთიანებდა სხვადასხვა კუთხეებისათვის შედგენილ სამართლის წიგნებს, ის ამ ფაქტორსაც ითვალისწინებდა და ამიტომაც ამბობდა, რომ კრებულში გაერთიანებული ძეგლები პრაქტიკულად გამოიყენებოდა ცხოვრებაში და მას სამოქმედო ძალა ჰქონდა. როგორც ჩანს, მისი მიზანი იყო შეედგინა ისეთი კრებული, რომელიც მთელ საქართველოში იქნებოდა გამოყენებადი, მიუხედავად სამართლის ძეგლთა „კუთხური“ ხასიათისა. იყო გამონაკლისებიც. ისტორიული საბუთებით დასტურდება ის ფაქტი, რომ საქმის განხილვისას „კუთხურობის“ ელემენტი სამართლისა არანაირ როლს არ თამაშობდა. შეიძლება საქმე ქართლში წარმოშობილ დავას შეხებოდა, მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნის გარდა დამონმებულიყო სამართლის სხვა ძეგლები. იმ ფონზე, როცა განჩინებაში მითითებულია ფრანგთა, რუსთა, ურიათა, თათართა, კერპმსახურთა სამართალი, ეს სრულიადაც არ უნდა იყოს გასაკვირი. ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მთელ საქართველოში გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართლისთვის იყო შექმნილი. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ვახტანგ VI-მ თავისი საკოდიფიკაციო მოღვაწეობით სცადა ერთი სამართლებრივი ქოლგის ქვეშ მოექცია სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა, რომლის სახელდება იყო საქართველო.

აღნიშნული კოდიფიკაციით ვახტანგ VI-მ სცადა შეექმნა ისეთი სამართალი, რომელიც არ იქნებოდა მომეტებულად დამძიმებული ადგილობრივი ჩვეულებებით. ამით მან გახსნა პოზიტიური სამართლისაკენ მიმავალი გზა. ამის მცდელობა მას შესანიშნავად გამოუვიდა, რაშიც დიდი როლი ითამაშა უცხო სამართლის ქართულმა ვერსიებმა, რომლებიც აღმოჩნდნენ ერთგვარი ღირებულებით მასალა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერთგვაროვანი სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. პრაქტიკულად სხვადასხვა სამართლების ერთად გამოყენებით ჩვენ მივიღეთ სამართლის ერთიანი ორგანიზმი. სამართალი გამთლიანდა. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ესაა ეპოქა, როცა ძლიერი იყო ჩვეულებითი სამართლის სამოქმედო ძალა, რომელსაც ყავლი არ გასვლია XXI საუკუნემდე, რაც კარგად დასტურდება თანამედროვე გამოკვლევებით. მართალია ჩვეულებები უფრო პარტიკულარული და მკაცრად „კუთხ-

ური“ ხასიათისა იყო, მაგრამ ერთიანობა აქაც შესამჩნევია ქრისტიანული კულტურის გავლენისა და ბერძნულ-რომაული სამართლის ორბიტაში ხანგრძლივი ყოფნის გამო. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში განთავსებულია „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, რომელიც საკუთრივ მთიულთათვის იყო განკუთვნილი. ეს არის კოდიფიცირებული ჩვეულებანი,⁴³ რომლის საკანონმდებლო ლეგიტიმაცია მოახდინა სამეფო ხელისუფლებამ. იგი არსებითად სასისხლო საქმეებს ეხება და არ ატარებს საყოველთაო ხასიათს. ეტყობა მეფეს განზრახული ჰქონდა ჩვეულებების მოთვინიერება და მათგან იმათი კოდიფიცირება, რომელნიც მთიულთა ცხოვრებაში მშვიდობის დამყარების საფუძველი იქნებოდა. რეპრესიული სამართლით გიორგი ბრწყინვალე შეებრძოლა მავნე ჩვეულებებს. ესეც ცხადია დიდი ნაბიჯი იყო სამართლის ერთიანობისაკენ. მოკლედ, ერთიანი ქართული სამართალი არ უარყოფს ჩვეულებების მნიშვნელობას, ოღონდ, მწვანე შუქს უნთებს იმათ, რომელნიც თავისი ბუნებით არაა უნესრიგობის შემტანი სამართლის ერთიან ორგანიზმში.

8. რომის სამართლის მნიშვნელობა

სამართლის მთელი ისტორიული პროცესი ეს არის ბრძოლა ძველ და ახალ სამართალს შორის,⁴⁴ ბრძოლა ეროვნულსა და ზეეროვნულ სამართალს შორის. ამ ბრძოლის პროცესში მიბადვის ერთგვარ ნიშნებს წარმოადგენდა რომის სამართალი. ევროპული სამართლის ჩამოყალიბება-განვითარების მთელი ისტორია რომის სამართალს უკავშირდება. ვნახოთ რა როლს ასრულებდა რომის სამართალი. იუსტინიანეს კანონთა კრებულიდან, კერძოდ ინსტიტუციებიდან ნათლად ჩანს, რომ სამართალი აღიქმებოდა, როგორც ეროვნულ, ისე ზეეროვნულ მოცემულობაში. ეროვნული სამართალი ცივილური სამართლის სახელწოდებით იყო ცნობილი და ამით სარგებლობდა სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლეობა, მისი მოქალაქეები და არა სხვები. ამასთან ერთად არსებობდა ბუნებითი სამართალი, რომელიც ადამიანებს აერთიანებდა მოქალაქეობის მიუხედავად და არამარტო მოქალაქეებს, ცხოველებსაც. როგორც ინსტიტუციებში ვკითხულობთ „ყოველი ხალხი, რომელსაც კანონები და ჩვეულებები მართავს, ნაწილობრივ თავის საკუთარ სამართალს იყენებს და ნაწილობრივ – ყველა ხალხისათვის საერთო სამართალს. ვინაიდან ის სამართალი, რომელიც თითოეულმა ხალხმა თავად დაადგინა საკუთარ სამართლად, არის თავად ამ სახელმწიფოს საკუთარი სამართალი და მას ეწოდება ცივილური სამართალი, ე.ი. თავად ამ სახელმწიფოს (civitas) საკუთარი სამართალი. ხოლო სამართალს, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დააწესა, თანაბრად იცავს ყველა ხალხი და მას ეწოდება ხალხთა სამართალი („ius gentium“), ე.ი. [სამართალი], რომელსაც ყველა ხალხი იყენებს. ამრიგად, რომელი ხალხი ნაწილობრივ იყენებს თავის საკუთარ სამართალს, ნაწილობრივ [კი] ყველა ადამიანისათვის საერთო სამართალს.⁴⁵ ამ დანაწესებიდან ჩანს, რომ რომის სამართალი ორბუნებოვანი იყო ჩამოყალიბება-დაფუძნების დროიდან. იგი იყო როგორც ეროვნული ხასიათის, ისე ზეეროვნული ხასიათის. ასეთი იყო საკუთარი სამარ-

⁴³ იხ. დოლიძე ის., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957.

⁴⁴ იხ. ელინეკი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზაზა ნანობაშვილის თარგმანი, თბ., 2006.

⁴⁵ იხ. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ნუგზარ სურგულაძემ, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2002, წიგნი პირველი, ტიტული II, 13; იუსტინიანეს სამართლის შესახებ იხილეთ: Schlosser H., Grundzüge Der Neueren Privatrechtsgeschichte. Rechtentwicklungen im europäischen Kontext. 10. Auflage, Heidelberg, 2005, 28 – 36.

თალი რომაელებისა. მას შემდეგ, რაც პერეგრინებმაც იგივე უფლებები მოიპოვეს, რაც მკვიდრ კვირიტულ მოსახლეობას ჰქონდა, რომის სამართალში სიმძიმის ცენტრი გადაიხარა ხალხთა სამართლის სასარგებლოდ. ამიტომაც მოიხსენიებდნენ რომის სამართალს, როგორც დანერგულ გონებას (*ratio scripta*).

სამართლის თანამედროვე ტენდენციების საჩვენებლად მნიშვნელოვანია სავინის მიერ შემუშავებული სახალხო გონის თეორია, რომელმაც დიდი დისკუსიები გამოიწვია იურისტებში. სავინის მთელი მოძღვრება აგებულია რომისა და გერმანული სამართლის ურთიერთდამოკიდებულებაზე და იმის ჩვენებაზე, თუ რომელი უფრო ეროვნულია. სახალხო გონის თეორია სამართლის ქმნადობაში უპირატესობას ანიჭებს ხალხის ნებას, რომელიც სხვადასხვა ურთიერთობებში ხილული თუ უხილავი ფორმით გვევლინება. სამართლის შემუშავება ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სავინი აღიარებს რომის სამართლის მნიშვნელობას გერმანული სამართლისათვის, ოღონდ იმავდროულად ამტკიცებს, რომ გერმანული სამართალი უფრო ეროვნულია და ამისი გამოხატულება სახალხო გონია. ეს აზრი სწორიც უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ რომის სამართალი მას შემდეგ, რაც იქცა „ხალხთა სამართლად“, იგი უფრო მსოფლიო გონის გამოხატულება იყო. ამიტომაცაა, რომ სავინი რომის სამართალს კი არ ემიჯნება, არამედ მას მიიჩნევს გერმანული ეროვნული სამართლის წარმოჩენის ერთგვარ იარაღად.⁴⁶ ერთობ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სავინი სახალხო გონს არ მიიჩნევს მკაცრად „შეზღუდულ გონად“ და არ აყენებს მას ხატოვნად, რომ ვთქვათ, „რობინზონის გონის“ მდგომარეობაში. იგი აღიარებს „მსოფლიო გონს“ და „სახალხო გონს“ მიიჩნევს მის ერთ-ერთ კერძო გამოხატულებად თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით. ეს უკვე სერიოზული განაცხადია, რომელიც ეხმიანება ჰეგელის კონცეფციას ეროვნული და ზეეროვნული სულის შესახებ, რაზედაც ჩვენ ზემოთაც გვქონდა საუბარი ქართულ სამართალთან მიმართებით. ეს უკვე სამართლის აღქმაა, როგორც ეროვნული, ისე ზეეროვნული ორგანიზმისა. რომის სამართალი საუკეთესო იარაღი აღმოჩნდა ამ მიმართულებით, კერძოდ, საიმისოდ, რომ ეროვნულ სამართალს პირი ებრუნა „მსოფლიო გონის“ მიმართულებით. საქართველოში ამისი სურათი ჩანს ფეოდალიზმის ხანაში.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ „სახალხო გონის თეორია“ დღესაც აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. გლობალიზაცია-ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ეპოქაში ჩნდება მოთხოვნები ამ მიმართულებით, რასაც პოლიტიკოსები ხშირად ბოროტადაც იყენებენ. თუმცა, სამართლის ეროვნულობა არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი დანარჩენ მსოფლიოსთან იმ კავშირების დასამყარებლად, რაც დღესაა მოსალოდნელი. ხალხისთვის მისაღები ღირებულებებით დაინტერესება უნდა იყოს ორმხრივი, კერძოდ, მას ხელს უნდა უწყობდნენ, როგორც ეროვნული სახელმწიფოები, ისე სახელმწიფოთა კავშირები და გაერთიანებანი. ასეთი თანხმობის მიღწევა მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ვაღიარებდით სავინის კონცეფციას, რომ მოქმედი პოზიტიური სამართლის დაფუძნებაში მთავარია „სახალხო გონი“ და არა კანონმდებლის ნება. სავინი გვიმტკიცებდა, რომ კანონმდებელი ასრულებს ამ პროცესში ტექნიკურ ფუნქციებს და აფორმებს ხალხის ნებას. ფაქტობრივად იმ ფაქტს, რომ კანონი სახალხო ნების პროდუქტია, ამას არც ახლა არ უარყოფს არავინ. სინამდვილეში ხშირად ეს ასე არ არის და არა-

⁴⁶ ერთობ საინტერესოდ, დანვრლებით სავინის მოძღვრების შესახებ იხ. ბრეგვაძე ლ., სახალხო გონი, როგორც სამართლის წყარო: სამართლებრივი კულტურის კონცეფციის ჩანასახი სამართლის ისტორიული სკოლის ნააზრევში. წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019, 90-145.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხალხის ნებას ამოფარებული კანონმდებელი მოქმედებს მისგან გაუცხოებულად და სრული თავისუფლებით. ამას კი შედეგად მოსდევს არაკონსტიტუციური კანონები. ამიტომაც გვინდა ვამტკიცოთ, რომ უკან „სახალხო გონისაკენ“ „მსოფლიო გონისაკენ“ მიმავალ გზაზე.⁴⁷ როცა კანონი გაუცხოებულია ხალხის ნებისგან, ასეთ შემთხვევაში ჩნდება მისი შესრულების პრობლემა. ამგვარ ვითარებაში სახალხო გონი ხალხის მართლშეგნებაში რჩება და მუდმივ წინააღმდეგობაშია საკანონმდებლო ნების ნაყოფთან. როცა კანონი ხალხის ნებიდან გამომდინარეობს, მაშინ მისი შესრულება ნაკლებ პრობლემებს აწყდება.

9. ისტორიული დამოკიდებულება მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობის მიმართ

ამ საკითხზე მოკლე მსჯელობა, რომელიც ვერ იქნება სიღრმისეული, განვიზრახეთ იმ მიზნით, რომ ვაჩვენოთ ისტორიულად როგორი დამოკიდებულება იყო მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობის, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა თუ ერთეულის მიმართ სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო ჰქვია. ეს დამოკიდებულება ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იქნება, რომელშიც გამოჩნდება ადამიანის მიმართ დამოკიდებულება და რომელიც შეგვატყობინებს ისტორიულად მზად არის თუ არა ქვეყანა გახდეს მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრი, კერძოდ, ევროგაერთიანების წევრი. ჩვენს მიერ ჩატარებული მცირე კვლევიდან ჩანს, რომ ქართულ სახელმწიფოს მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე შუბლზე ამოკვეთილი ჰქონდა მნიშვნელოვანი სლოგანი: ყველა ადამიანი, რა ეთნიკური ჯგუფისაც არ უნდა იყოს, მკვიდრი მოსახლეობის წევრი იქნება თუ არამკვიდრი, თანასწორია და იმსახურებს პატივისცემას. ეს ერთი შეხედვით გადამეტებული განაცხადი შესანიშნავადაა ასახული ქართულ ანდაზაში, რომელიც ამბობს: „ლეკი ან თათარი და შენი ძმა რომ ჩხუბობდნენ, სწორი სამართალი მიეცი“. ამ ანდაზაში ჩანს ქართველი ხალხის მართლშეგნების ანატომია.

უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ ჩვენი დასკვნების მსჯელობებში, მოვიტანთ მასალებს სხვადასხვა კვლევიდან. უცხო ეთნოსის მიმართ პატივისცემითი დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალშისაცემია ანტიკურ ხანაში. ამის სანიშნუშო მაგალითია ებრაელებისადმი დამოკიდებულება. მას შემდეგ, რაც ნაბუქოდონოსორ მეორემ დაიპყრო ისრაელის სამეფო, დაიწყო ებრაელთა მიგრაცია სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი ნაწილი ებრაელებისა მოადგა ქართლს და მოითხოვეს მცხეთის მამასახლისისაგან თავშესაფარი, რომელიც დაუკმაყოფილებიათ და მცხეთაში, ზანავში დაუსახლებიათ. ლეონტი მროველის გადმოცემით, ეს ამბავი მომხდარა ძვ.წ. VI საუკუნეში. შემდეგი დიდი ნაკადი ებრაელებისა I საუკუნეში შემოსულა საქართველოში.⁴⁸ ლეონტი მროველი ამის შესახებ იტყობინება, რომ „მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა.“⁴⁹ ქართული სახელმწიფო მთელი ისტორიის მანძილზე ებრაელთა თვითმყოფადობასა და კულტურას სათანადო სამართლებრივი გარანტიებით განამტკიცებდა.

⁴⁷ იხ. დაწვრილებით: ბრეგვაძე ლ., დასახელებული ნაშრომი, 11-20.

⁴⁸ ბრეგვაძე ზ., ქართული სახელმწიფოს ისტორია და ადამიანის უფლებები, წიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, თბ., 2004, 7-8.

⁴⁹ მროველი ლ., ცხოვრება ქართველთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, 36.

მკვლევრებს სანიმუშოდ მოჰყავთ დავით აღმაშენებლის ეპოქაში მისი პირადი დამოკიდებულებანი მაჰმადიანთა წეს-ჩვეულებებისა და რწმენის მიმართ. ქრისტიანი მეფე მუსულმანური რწმენის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა და არაბი ისტორიკოსი ალ-ჯაუზის ცნობით, დროგამოშვებით (პარასკეობით) მეჩეთშიც დადიოდა და ყურანის კითხვას უსმენდა.⁵⁰ იგი მაჰმადიანთა რელიგიური დღესასწაულის – „ყურბან ბაირამის“ მიმართაც შემწყნარებლობას გამოხატავდა. არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით: მუსლიმანების რელიგია უნდა ყოფილიყო ხელშეუხებელი. მეფემ დაადგინა, რომ „ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულთანის სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. აგრეთვე, მათ პირობა დაუდო, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (კათედრიდან) ილოცებდნენ ხალიფისა და სულთანისათვის და არა მისთვის. იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს (მქადაგებლებს).“⁵¹

მუსლიმთა უფლებები დაცული იყო ეკონომიკურ სფეროშიც. ისინი ერთი წლით სხვადასხვა გადასახადებისგან გაათავისუფლეს და სამეფო ხაზინის გადასახადიც უფრო შეღავათიანი ჰქონდათ, ვიდრე ქართველებს. ეს შეღავათები სტაბილურ ხასიათს ატარებდა და ალ-ფარიკი ამონიშნავს, რომ ისინი დაცული დახვდა ოცდაცამეტი წლის შემდეგაც, როცა ის კვლავ სტუმრობდა საქართველოს.⁵²

კიდევ ერთი ისტორიული ცნობა უნდა დავიმოწმოთ, რაც ასევე მეტყველებს ქართველი მეფის ზღვარდაუდებელ კეთილგანწყობაზე მუსლიმანთა მიმართ: „მან (დავით აღმაშენებელმა, ლ.ა.) აუშენა მქადაგებლებს, სუფიებსა და ასკეტებს სასახლეები, აწყობდა მეჯლისებს... თუ რომელიმე მაჰმადიანი თბილისიდან წასვლას დააპირებდა, აძლევდა ამის უფლებას და საკმაო რაოდენობით სამგზავრო ფულს. მაჰმადიანებს უფრო მეტი პატივისცემით ეკიდებოდა, ვიდრე თვით მუსლიმანური ხელმწიფენი“.⁵³

ლევან ალექსიძეს მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის შეფასება XII საუკუნის მიწურულს სომეხთა ორ მონასტერს შორის დვინში მოწვეული სასამართლოს გადანყვეტილებასთან დაკავშირებით თამარ მეფის სამართლებრივი პოლიტიკის კონტექსტში. ეს სასამართლო მოუწვევია მნიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს. ბატონი ივანე წერს:

„ამ... ნაბიჯით საქართველოს უმაღლესმა სახელმწიფო ხელისუფლებამ იმაზე მიუთითა, რომ ასეთი საქმეების გარჩევის დროს ის არ თვლის საჭიროდ ანგარიში გაუწიოს კონფესიურ განსხვავებებს, რომ ასეთ შემთხვევებში ქრისტიანები და მაჰმადიანები სრულიად თანასწორნი არიან და რომ ის მთავარ მნიშვნელობას აკუთვნებს ცოდნასა და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის კაცი.“⁵⁴

სხვადასხვა ეთნოსის კონსოლიდაციის მზადყოფნას მკვიდრი მოსახლეობის გარშემო საქართველო ავლდებდა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, რაც ისტორიული ცნობებით დასტურდება. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანიდან დასტურდება

⁵⁰ იხ. *ალექსიძე ლ.*, საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკურ ხანიდან დღემდე), თსუ გამომცემლობა, 2012, 90.

⁵¹ იქვე, 90.

⁵² იქვე, 90.

⁵³ იხ. იქვე, 91.

⁵⁴ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965, 419.

ერთდროულად მოქმედება რამდენიმე ენისა, როგორცაა ფალაური, ბერძნული, ებრაული და ასირიული დამწერლობანი.⁵⁵ ლეონტი მროველის ცნობით: „იყვნეს ქართლსა შინა აღრეულ ყოველნი ნათესავნი და იხმარებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა.“⁵⁶ ლეონტი მროველის ცნობა დასტურდება არქეოლოგიური მასალებით, რაც ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის კეთილგანწყობითი და კულტურული ავტონომიის მსგავსი დამოკიდებულების მაჩვენებელია.⁵⁷ თუმცა, მას შემდგომ, რაც ფარნავაზმა ეროვნული დამწერლობა შემოიღო, ქართული გამხდარა ძირითადი ენა.⁵⁸

კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს უნდა გაეცვას ხაზი. საქმე ეხება სხვადასხვა ეთნოსის კონსოლიდაციას მკვიდრი ქართული მოსახლეობის გარშემო. ცნება „ქართველი“ შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ფართო მნიშვნელობით. ლეონტი მროველის ცნობით, პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი წარმოშობით ირანელი იყო, თუმცა მან „შეიყვარა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა და შეამკო საფლავი ფარნავაზისი, ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა.“⁵⁹ ამ ცნობის კომენტატორი ზურაბ ბრაგვაძე წერს, რომ ქართველად, აქედან გამომდინარე, იწოდებოდა: „ის, ვინც ფლობდა ქართულ ენას, ეზიარებოდა ქართულ კულტურას, იქნებოდა ქართული სახელმწიფოს ისტორიის პატივისმცემელი და ემსახურებოდა ქართველი ხალხის კეთილდღეობას“. ეთნიკურ სისხლისმიერ წარმომავლობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამდენად, ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი შეიძლება წოდებულიყო ქართველად.⁶⁰ ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქართული სახელმწიფო სხვადასხვა ეთნოსს განცალკევებულ-გამიჯნულად კი არ განიხილავდა, არამედ მოსახლეობის ერთიანი ორგანიზმის ნაწილად მიიჩნევდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია შეიძლება განვიხილოთ დავით აღმაშენებლის ეპოქის გაგრძელებად (გაცოცხლებად) ახალ დროებაში. ამის დადასტურებაა ეთნიკური უმცირესობების უფლებებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, რაც იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა ევროპისათვის. ამ კონსტიტუციის მოზრდილი მე-14 თავი (მუხლ. 129-137) სპეციალურად ეხება ეროვნული უმცირესობების უფლებებს, ესენია მათი თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურის განვითარება, განსაკუთრებული ხაზგასმითაა მონესრიგებული კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებანი, რომლის ორგანიზების და განვითარების ფორმად ეროვნული კავშირების დაარსებაა გათვალისწინებული. აქვეა თვითმმართველობაში მათი მონაწილეობის გარანტიები და ა.შ. გერმანელი კონსტიტუციონალისტ ჰებერლეს შეფასებით საქართველოს პირველი კონსტიტუცია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს იმდროინდელი ევროპის ქვეყნებთან მი-

⁵⁵ იხ. ბრაგვაძე ზ., ქართული სახელმწიფოს ისტორია და ადამიანის უფლებები, წიგნში: „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“, თბ., 2004, 8-9.

⁵⁶ მროველი ლ., ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, 16.

⁵⁷ იხ. ბრაგვაძე ზ., დასახელებული ნაშრომი, 9.

⁵⁸ ლეონტი მროველი, 26.

⁵⁹ მროველი ლ., დასახელებული ნაშრომი, 65.

⁶⁰ ბრაგვაძე ზ., დასახელებული ნაშრომი, 12

მართებით.⁶¹ თუ გავითვალისწინებთ ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩვენს ისტორიულ დამოკიდებულებას, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს და უნდა ჩაითვალოს ძველი მემკვიდრეობის გაგრძელებად. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, თუ როგორი დამოკიდებულება იყო მსოფლიოში ეროვნული უმცირესობის უფლებების მიმართ. სამეცნიერო-კვლევები იუწყებიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ორმოცწლიანი დებატების, მოხსენებებისა და მოლაპარაკებების შემდეგ 1992 წელს მიიღო დეკლარაცია უმცირესობების უფლების შესახებ.⁶² აქედან ჩანს, თუ რამდენად დაწინაურებული ყოფილა ქართული სახელმწიფოს ღირებულებითი თვალსაწიერი.

აღნიშნული უფლებების ცალკე გამოყოფა არ ნიშნავს კონსტიტუციური უფლებების დაყოფას საერთო და სპეციალურ უფლებებად. ეთნიკური უმცირესობები სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რაც კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციური გარანტიები აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ეროვნული უმცირესობები ზიარებოდნენ ძირითად უფლებებს, ისე რომ არ მოსპობილიყო და შენარჩუნებულიყო მათი ეთნიკური კოლექტიური პიროვნულობა, რასაც ქართული სახელმწიფო, როგორც მრავალეთნიკური ქვეყანა განსაკუთრებული მგრძნობელობით ეკიდებოდა. ეს იყო ნორმატიული მეთოდი განსხვავებულთა ერთიანობის მისაღწევად.

10. ადამიანის ძირითადი უფლებები და ეროვნული სამართალი

ადამიანის უფლებების დაცვა აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა ტრადიციებისა და ჩვეულებების მქონე სახელმწიფოები. სამართლის ჰარმონიზაციის პროცესი განსაკუთრებული გაქანებით აქ განვითარდა. ადამიანი ფაქტობრივად გახდა მსოფლიო მოქალაქე, ის საერთაშორისო მეურვეობის ქვეშ მოექცა. ამ ფაქტორმა სერიოზული გავლენა იქონია სხვადასხვა სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაზე. ადამიანის უფლებების დაცვა გახდა ეროვნული სამართლის შეფასების საზომი. უფრო მეტიც, ძირითადი უფლებების გავლენის ქვეშ მოექცა ეროვნული სამართლის სხვადასხვა მიმართულებანი. დარგობრივ უფლებებსა და ძირითად უფლებებს შორის კოლიზიისას, უპირატესობა მიენიჭა ძირითად უფლებებს. ამ მიმართულებით ჩვენს უნივერსიტეტებში სერიოზული კვლევებია გაჩაღებული და მისი მიზანი ისიცაა, რომ შეიცვალოს სასამართლო პრაქტიკა. თანდათანობით ვინაობდება იმ უფლებათა წრე, რომლითაც სარგებლობს ქვეყნის მოქალაქე და ფართოვდება იმ უფლებების წრე, რომლითაც სარგებლობს ადამიანი მოქალაქეობის მიუხედავად. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ რამდენიმე გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. ერთ-ერთი გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არ ცხოვრობდა საქართველოში, არ ეძლეოდა უფლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიემართა თავისი ძირითადი უფლების დასაცავად.⁶³ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კა-

⁶¹ იხ. Häberle P., Europäische Rechtskultur, Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 1994, 121. ასევე ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ: რადოლოფი სტრავენჰაგენი კულტურული უფლებები: სოციალური მეცნიერების პერსპექტივა. წიგნში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (რედაქტორები: ასბორნ ვიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსა), თარგმანი ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძისა, 70-104.

⁶² იქვე.

⁶³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ნონის ამკრძალავი ნორმა. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს ძირითად უფლებებს იმის მიხედვით, თუ რა ბმა (კავშირი) აქვს მათ ეროვნულ სახელმწიფოებრიობასთან. სასამართლო ამოდის რა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლიდან, ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები წარუვალა და უზენაესი ადამიანური ღირებულებებია, რომლითაც შეპოჭილია თავად სახელმწიფო. ძირითადი უფლებები კონსტიტუციურ ღირებულებათა საფუძველი და მათი არსის განმსაზღვრელია. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები გაცილებით ფართოა, ვიდრე საქართველოს მოქალაქის უფლებები. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლებრივად ათანაბრებს საქართველოს მოქალაქეებთან ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მუხ. 44). ასეთი გამონაკლისი ეხება პოლიტიკურ უფლებებს. საინტერესო ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის განმტკიცებისას ემყარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობას და ევროსასამართლოს პრაქტიკას, რომლებიც აღიარებენ უცხო ქვეყნის მოქალაქის იმ კატეგორიის უფლებებს, რომლებითაც მათ შეიძლება ისარგებლონ და შესაბამისად მიმართონ სასამართლოს. მეტიც, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დამდგარმა მოვლენებმა, კერძოდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეებიც არიან, მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ პარლამენტის არჩევნებში. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ გზადაგზა ადამიანის უფლებების გავლენის ქვეშ ექცევა მთელი რიგი პოლიტიკური უფლებები. ძირითადი უფლებებით სარგებლობა უცხოელს უჩენს ლეგიტიმურ საფუძველს ერთგვარი თანამონაწილე გახდეს ქვეყანაში არსებული მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში. თუმცა, ეს გზა შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვაზე გადიოდეს უფრო, ვიდრე საარჩევნო პროცესში უშუალო ჩართვაზე.

ამ გადაწყვეტილების მთავარი სლოგანი იმის აღიარებაა, რომ კანონმდებლობისათვის მარტო მნიშვნელოვანია ზოგადად ადამიანი, როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე არსება. ის თავის თავს მიიჩნევს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის მექანიზმის ორგანულ ნაწილად. მოკლედ, საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქის ცნებიდან მიემართება ადამიანის ცნებისაკენ.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ჩათვალა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონის ის ნორმები, რომლებიც ზღუდავდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრების უფლებას აღნიშნული კატეგორიის მიწებზე.⁶⁴

საკონსტიტუციო სასამართლო აქაც ერთობ გულუხვი აღმოჩნდა და აღიარა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრების უფლება მიწაზე. ასე ხელგაშლილი მოწინავე ქვეყნების სამართალიც არ არის. მათი უმეტესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უდგენს მიწაზე საკუთრების უფლების ფარგლებს და გამოყენების მიზნებს. ასევე, პროცედურული ბარიერებიც ზოგ ქვეყანაში იმდენად ბიუროკრატიულია, რომ კლავს იმის სურვილს (ნდომას) რომ უცხო ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთი) შეიძინო მიწის ნაკვეთი საკუთრებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სერიოზული „დაპირისპირება“ გაჩნდა საკანონ-

⁶⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე: „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მდებლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. ამან კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა გამოიწვია. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრების უფლება დაექვემდებარა სპეციალურ რეჟიმს განსხვავებით საქართველოს მოქალაქისგან. ვფიქრობთ, კანონმდებლის ინტერესი სრულიად ლეგიტიმური იყო საკუთარი მოქალაქეების პრიორიტეტის დაკანონებაში და იგი ემყარებოდა მიწაზე მოქალაქეთა მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა მხედველობაში მიღებას. აქ მართლაც ჩანს, ეროვნული ინტერესები სამართალში.

11. ადამიანის ღირსებისადმი დამოკიდებულება

თანამედროვე ევროპული სამართლის მთავარ ფასეულობას ადამიანის უფლებები წარმოადგენს. ეს უფლებები განმტკიცებულია კონსტიტუციებითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. მნიშვნელოვანი ის არის, რომ უფლების სუბიექტს წარმოადგენს ყველა ადამიანი მისი სახისმეტყველების მიუხედავად. ყველა ადამიანში ჩვენ ღმერთს ვხედავთ და ამ აზრით ყველა გვავალდებულებს ჩვენც და სახელმწიფოსაც. ამ ნაშრომის წინა ნაწილში რამდენიმე მაგალითი დავიმოწმეთ ჩვენი ქართული სამართლიდან. ახლაც გვინდა წარსულით დავიწყოთ და ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა თანასწორობის იდეა ეს გენეტიკური იდეაა ჩვენს სინამდვილეში. შევჩერდეთ ადამიანის ღირსებისადმი დამოკიდებულებაზე. ადამიანის ღირსება მისი პიროვნულობისა და შესაბამისად სამართალსუბიექტობის აღიარების მანიშნებელია. იგი ობიექტური მოცემულობაა და ყველა ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელია. მას ვერც ვერავინ შექმნის და ვერც გააუქმებს. ყველაზე „უღირსი ადამიანი“ ღირსების მატარებელია. ღირსებაზეა ასხმული ადამიანის უფლებები.

რადგანაც ისტორიული ფაქტები გვინდა დავიმოწმოთ, მოვიტანთ ერთ მაგალითს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულიდან. საქმე ეხება გლეხისა და ბატონის უფლებრივ გათანაბრებას ოჯახური ღირსების დაცვის სივრცეში. როცა გლეხის ოჯახურ ღირსებას ლახავს ბატონი, კერძოდ იმით, რომ მას წაასწრებენ გლეხის ცოლთან მწოლიარეს, გლეხს ბატონიც რომ შემოაკვდეს და საკუთარი ცოლიც, ამისთვის იგი პასუხს არ აგებს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მერვე ნაწილში ვკითხულობთ: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაპიყოს, ან ღამით და ან დღისით, და ცოლთან საწოლად დააჯელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდება“.⁶⁵ იმ დროს როცა ყველაფერი ყმისა ბატონისაა, ცხადია, ეს ერთობ განსაცვიფრებელი ნორმა უნდა იყოს ფეოდალურ სინამდვილეში. გაკვირვებას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ბევრ ფეოდალურ ქვეყანაში არსებობდა პირველი ღამის უფლება, რომლითაც სარგებლობდა ბატონი. სამართლის ისტორიკოსების კვლევებს თუ დავემყარებით, ამ მოვლენას საქართველოში არ ჰქონია ადგილი. თუ ამასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ვახტანგის სამართლის წიგნის აღნიშნული ჩანაწერი სანდო და მოქმედიც უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში მოიპოვება მისი საპირისპირო დადგენილებაც. აქ მთავარია ის, რომ ოჯახური ღირებულების კონტექსტში ბატონი და გლეხი გათანაბრებულია. ცოტა გადაჭარბებით თუ ვიტყვით, ქართველი გლეხი იმავდროულად იერიგისეული ოფიცერია, რომელიც ღირსების დაცვის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. სხვა შემთხვევებიც მრავლადაა. ადამიანის ღირსების ფაქტორს უნდა უკავშირდებოდეს სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია ძველ საქართველოში. საინტერესოა სიკვდილით დასჯისა და დამასახიჩრებელი სასჯელების მიმართ დამოკიდებულება. თამარ მეფის ეპოქაში იშვიათად გამოიყენებოდა: და-

⁶⁵ იხ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტ. I, 293.

საჭურისება, ხელის, ფეხის თითების, ენის მოჭრა და თვალების დათხრა.⁶⁶ რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, იგი ფაქტობრივად გაუქმებული იყო. ერთადერთი ვის მიმართაც გამოიყენებოდა, ესენი იყვნენ ავაზაკები. ეს სასჯელი თამარის გამეფებამდე იყო დაწესებული.⁶⁷ საქართველოს კონსტიტუციიდან სიკვდილით დასჯის ამოღება უნდა მივიჩნიოთ ჩვენი არა ევროპული გაერთიანებისაკენ სწრაფის გამოხატულებად, არამედ იმ დამოკიდებულების გამოცხადებად, რასაც ისტორიულად ჰქონდა ადგილი საქართველოში ჰუმანიზმის მიმდევარი მეფეების ხანაში. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ქვეყანა ისეა მოწყობილი და განვითარებული, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივაციაც შესუსტებული იყო. აქედან კარგად ჩანს, რომ მკაცრი სასჯელები კი არაა პრობლემიდან გამოსავალი, არამედ ასეთია სამართლიანი და ჰუმანური სასჯელები. დავით აღმაშენებელზე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ იგი იყო „შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელი“. მან დაუძინებელი მტერი, ლიპარიტ ამირა, რომელიც მეფის წვრთნამაც ვერ გამოასწორა, გააძევა საქართველოდან, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო სიკვდილით დაესაჯა. გიორგი ნადარეიშვილის შეფასებით, დავით აღმაშენებლის დროში სახელმწიფო ცდილობს დამნაშავეებს მათი წვრთნა-გამოსწორებით სასჯელი ააცდინოს.“⁶⁸ ეს ფაქტიც გენიალური შეგონება უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოებისათვის – „დამნაშავის“ გამოსწორებაზე ზრუნვა სასჯელის დაკისრებამდე და არამართო მისი დაკისრების შემდეგ.

სხვა ისტორიული საბუთებიც იუწყებიან იმ იდეებისამდე ერთგულებას, რასაც ადგილი ჰქონდა სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით თამარ მეფის ეპოქაში. ალექსანდრე ამილახვრის პროექტი ქართული სამართლის უკეთ მოწყობის შესახებ, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია: „ვინაიდან ცოცხლისა სიკვდილი ყოვლისა კაცისა შესაძლებელი არს, და აღდგინებაი არავისგან“. ყველაზე მნიშვნელოვანი ამილახვრის სამართალხედვაში ის არის, რომ იგი აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას. ამით მან დროსაც კი გაუსწრო. აი, რას წერს: „თანასწორად ვშობილვართ და არავინ არს უმჯობეს ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გვამისა საერთოსა ზედა.“⁶⁹ ეს დამოკიდებულება არ გამქრალა არასდროს. რამდენიმე სიტყვით შევეხებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, რომელიც შეიცავს ერთ უჩვეულო ნორმას, საიდანაც ჩანს რომ ადამიანის ღირსება დაცულია მისი გარდაცვალების შემდგომაც (მუხ. 19) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რუსული გამოცემის შესავალ სტატიაში აღნიშნულია, რომ ასეთი ნორმა ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსსაც შემურდებოდაო. ვერ ვიტყვით, მართლაც როგორ იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ გარდაცვალება ეს ადამიანის სხეულის მოკვდინებაა, რა შემთხვევაშიც ჩვენ ვაღიარებთ სულის უკვდავებას. პიროვნული სახისმეტყველება გარდაცვალების შემდეგაც უცვლელია და ამ აზრითაა დაცვადი. მეტიც, იგი გავლენას ახდენს ცოცხალი ადამიანების ცხოვრებაზე. სოკრატეს სიკვდილით დასჯიდან ორ ათასწლეულზე მეტი გავიდა,⁷⁰ მაგრამ მისი დამოკიდებულება ადამიანის ღირსებისადმი საკუთარი ღირსების დაცვით დღესაც სამაგალითოა. განა სოკრატეზე ნაკლები სიმტკიცე გამოიჩინა წმინდა ქეთევან წამებულმა? მართალია ბუნებაში ყველაფერი

⁶⁶ იხ. ნადარეიშვილი გ., ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნეების საქართველოში, თსუ გამომცემლობა, 2021, 119-133.

⁶⁷ იქვე, 103.

⁶⁸ იქვე, 111

⁶⁹ იხ. თაქთაქიშვილი ლ., ადამიანის უფლებები ქართული პერიოდიკის სათავეებთან, წიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული ლიტერატურა, თბ., 2004, 104.

⁷⁰ იხ. ქასრაშვილი ი., სოკრატე, თბ., 2022. ასევე პირველ რიგში: პლატონი, სოკრატეს აპოლოგია. კრიტონი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი, გამომცემლობა "Carpe Diem", 2021.

მოკვდავია, მაგრამ სამაგალითო ადამიანების მივიწყებამდე ხომ ვიკვებებით მათი ცხოვრებისეული თავგადასავლებით. სამწუხაროდ, თავიდან სამოქალაქო კოდექსის ნორმისაგან განსხვავებული მიდგომა დააფიქსირა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმა და დაადგინა, რომ გარდაცვლილის ცილისწამებასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი არ მიიღება განსახილველად. კანონმდებელმა ეს „შეცდომა“ გამოასწორა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ იგი კონსტიტუციურად ცნო და ვფიქრობთ ღირსების მოკვდაობა ალიარა პირის გარდაცვალების შემდგომ. ამის უსაფუძვლობაზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა მაქვს ჩემს ნაშრომში და აქ აღარ გავიმეორებ მას.⁷¹ ეს მაგალითები, რომელნიც მეტწილად სამართლის დამოკიდებულებას გამოხატავს, მაჩვენებელია იმისა, რომ ღირსება ისტორიულად და ახლაც წარმოადგენს ძირითადი უფლებების ხერხემალს.

ღირსების წინაშე ყველას თანასწორობა უფლებების წინაშე თანასწორობას განაპირობებს. ჩვენ ძალიან ბევრს ვსაუბრობთ ჩვენს ნაწერებში იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია ძირითადი უფლებების კონტექსტში. ქრისტიანული მორალი გვაავალდებულებს შევიყვაროთ მტერი ჩვენი. თუ ამას არ გავაკეთებთ და ის გვეძულება, ეს დიდი უბედურება იქნება ლაო-ძის მოძღვრებით. ადამიანისადმი სიყვარული ის ძალაა, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობიანი და ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებას. ქართულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველას სახით გვყავს პოეტი, რომელმაც ადამიანის უფლებები, მიუხედავად იმისა, ვინ არის იგი: მოყვარე თუ მტერი, ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომელსაც არ იცნობს არც ერთი საერთაშორისო აქტი დედამიწაზე. ალუდა ქეთელაურმა, მისი პოეზიის ერთ-ერთმა გმირმა, მის მიერვე მოკლულ დაუძინებელ მტერს მუცალს ხატში მსხვერპლი შესწირა და ამით დაუპირისპირდა საკუთარ (ჩვეულებით) სოციალურ წესრიგს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა. მკვლევარი ლევან ბერძენიშვილი თვლის, რომ ამით ალუდა ლოკალურ წესებს არღვევს გლობალურის სასარგებლოდ. ეს შეიძლება შევადაროთ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას შორის კონფლიქტს, რომელიც საერთაშორისოს სასარგებლოდ წყდება. ალუდას აზრი შემდგომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აისახება და ამით იქცევა ცივილიზებული სამყაროს კანონად.⁷² აქედან გამომდინარე, ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ვაჟა ფშაველა ქართულ კულტურასთან ერთად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორთაგანია, ვინაიდან მან პიროვნების ღირებულებითი პრიორიტეტი დააკანონა თავის პოემაში – „ალუდა ქეთელაური“. ⁷³ ჩვენი მხრივ დავამატებდით, „ალუდა ქეთელაური“ კანტის ზნეობის მეტაფიზიკის იდეური გაგრძელებაა, იმ ზნეობისა, სადაც ადამიანი ღმერთის შემდეგ მოაზრებულია აბსოლუტურ ღირებულებად.

12. სახელმწიფოს ფუნქციური ინტერნაციონალიზაცია

სამართლის ინტერნაციონალიზაციის კვალდაკვალ ხდება სახელმწიფოს ფუნქციური ინტერნაციონალიზაცია. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ფუნქციის სახეშეცვლილი მოთხ-

⁷¹ იხ. დანვრილებით: ზოიძე ბ., გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვა ზოგადი და სპეციალური კანონების ურთიერთმიმართების დონეზე. ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თსუ, 2023, 65-84.

⁷² იხ. ბერძენიშვილი ლ., ადამიანის უფლებები ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული ლიტერატურა, თბ., 2004, 74-75.

⁷³ იქვე, 77.

ოვნილებანი განაპირობებენ სამართალში ცვლილებებს. ეს კი იმითაცაა განპირობებული, რომ თანამედროვე სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან კომუნიკაცია – თანამშრომლობის გარეშე ვერ განახორციელებს თავის მთელ რიგ ფუნქციურ ფუნქციებს. სახელმწიფოები ფაქტობრივად სახელმწიფოთა საერთო ორგანიზმის აუცილებელი ნაწილები ხდება. ერთისა და მრავლის ცნობილი მიმართება მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტში აქაც ავლენს თავის თავს სპეციფიკურად. ეს საკითხები ერთობ ღრმად შეისწავლა სამართლის თეორეტიკოსმა და ფილოსოფოსმა ლევან იზორიამ.⁷⁴ გერმანულ სამართალზე დაყრდნობით მან საინტერესო დასკვნები გააკეთა. ამ ნაწილში ჩვენი გამოკვლევისა, ძირითადად მის ნააზრევს დავეყრდნობით. მთავარი სლოგანი აღნიშნული კვლევისა ის არის, რომ ეროვნულმა სახელმწიფოებმა ფერი იცვალეს იმ აზრით, რომ ისინი ერთმანეთს დაემსგავსნენ, როგორც სახელმწიფოებრივი სახისმეტყველებით, ისე სამართლის ინტერნაციონალიზაციით.

ვნახოთ რა ხდება სახელმწიფოს ფუნქციურ დონეზე. ხდება ის, რომ თანამედროვე სახელმწიფო მთელ რიგ ფუნქციებს ვერ განახორციელებს ჯეროვნად და სრულფასოვნად სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობა-თანამონილეობის გარეშე. აი რას ვკითხულობთ დასახელებულ ნაშრომში: „...სახელმწიფოს უკვე აღარ შესწევს ძალა მარტომ შეასრულოს ბევრი ამოცანა, რომლებიც ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება და გლობალური, კონტინენტალური ხასიათიდან გამომდინარე, ბევრი სახელმწიფოსათვის საერთო პრობლემას წარმოადგენს“.⁷⁵ ასეთი პრობლემები საკმაოდ ბევრია. ერთი ასეთთაგანია სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების ფუნქცია, გარემოს დაცვის ფუნქცია, ეკონომიკური ფუნქცია, სოციალური ფუნქცია და ბევრი სხვა, რომლებიც უკავშირდებიან გლობალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას.⁷⁶

გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შედეგი ის არის, რომ ყალიბდება კომუნიკაციის სახელმწიფო. „საერთაშორისო ურთიერთობებმა სახელმწიფოთა ტერიტორიული საზღვრები გადალახა და მან პოლიტიკის თითქმის ყველა სფერო მოიცვა“.⁷⁷ ამ კონტექსტში თუ შევადარებთ ადამიანთა შორის კომუნიკაციას, აქ გაცილებით მეტი თავისუფლებაა ამ ურთიერთობის სუბიექტებისა, ვიდრე ამას ადგილი აქვს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში. ამ აზრით, თანამედროვე სახელმწიფო მკაცრად კომუნიკაციურია. ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა დიქტატორული ტიპის სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ საზღვრებში არიან ჩაკეტილი, კომუნიკაციის გარეშე მათაც უჭირთ არსებობა. განსაკუთრებით, ეს ყველაზე მეტად საგრძნობი და შესამჩნევია ეკონომიკურ ურთიერთობებში. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კომუნიკაციას აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციები.

დასახელებული ნაშრომიდან ჩანს, რომ პოლიტიკის რეგიონალიზაციის პროცესი ერთმანეთთან აახლოვებს სხვადასხვა სახელმწიფოებს. „პოლიტიკის რეგიონალიზაცია იმის შედეგია, რომ საზოგადოებრივი პროცესები უკვე მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აღარ ვითარდება. საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების არეალი ერთი კონკრეტული ტერიტორიით როდი შემოიფარგლება, არამედ ურთიერთობის ქსელითა და ფუნქციონალური კავშირებით, რომელსაც საკუთარი დე-ფაქტო საზღვრები აქვთ“.⁷⁸ პოლიტიკის რეგიონალი-

⁷⁴ იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემა, გამომცემელი „სიესტა“, 2009.

⁷⁵ იქვე, 113-114.

⁷⁶ იქვე, 113-116.

⁷⁷ იქვე, 117.

⁷⁸ იქვე, 121.

ზაცია ყველაზე ნათლად ვლინდება ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. „რეგიონალიზაციის პროცესმა სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები უფრო გამჭვირვალე გახდა, მაგრამ მისი საერთოდ არსებობა ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია“.⁷⁹ ამას ემატება სახელმწიფოებში დემოკრატიული პროცესების დაახლოება.

აღნიშნული ფაქტორებიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ თანამედროვე სახელმწიფომ სახე იცვალა და ის აღარ წარმოადგენს საკუთარ, ვიწრო ნაციონალურ სხეულში ჩაკეტილ ფასეულობას. მხოლოდ ამ სახით თუ შეძლებს იგი საკუთარი არსებობის არამარტო დაფუძნებას, არამედ შენარჩუნებას. ინტერნალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესმა სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან კომუნიკაციაში წარმოაჩინა. დაახლოებით აქაც ისეა, როგორც ფიზიკურ პირებთან მიმართებაში. უკომუნიკაციო სახელმწიფო წააგავს „რობინზონს“, რომელიც სამართლის სუბიექტიც არ იყო.

13. ეროვნულობის საკითხი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას

სამოქალაქო კოდექსის შექმნა განაპირობა სსრ კავშირის დაშლამ და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ. ეს რომ მომხდარიყო, მანამდე საქართველოში ეროვნული მოძრაობის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობდა. ეროვნულობისა და დამოუკიდებლობის მქონე სლოგანი სამი სიტყვით გამოიხატებოდა, როგორიც იყო ენა, მამული, სარწმუნოება. სწორედ მასში იყო ეროვნული სახელმწიფოს იდეა განსახიერებული. უფრო კონკრეტულად ეროვნული სახელმწიფო გულისხმობდა ხალხის კულტურულ ფასეულობებზე, ზნე-ჩვეულებებზე და ტრადიციებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. სამართალსაც თუ ამ ადგილზე განვიხილავთ, მაშინ მათ მსგავსად ისიც უნდა მიგვეჩნიო, ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების პროდუქტად. ეს უკვე სამართლის ისტორიული სკოლის მხადრატურა და იმის აღიარებაა, რომ სამართალი ადამიანის შინაგანი ყოფიერების გამომხატველია. სინამდვილეში ეს ასე არ არის და ამას ადასტურებს, როგორც ისტორიული ფაქტები, ისე სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფციები. სამართალი, როგორც კანტი ამტკიცებდა, ადამიანისათვის გარეგანია მორალისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის შინაგანი მახასიათებელია. კოდიფიკაციის დაწყების დროს ამ ფაქტორს აუცილებლად უნდა მიქცეოდა ყურადღება.

ისტორიული წარსული ქართული სამართლისა ამის უტყუარი დადასტურებაა. ჩვენ ბევრჯერ დავიმოწმეთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული და აღვნიშნეთ, რომ იგი წარმოადგენს სამართლის ერთიანობისა და მთლიანობის გამოხატულებას. სხვადასხვა კულტურების მიერ შექმნილი სამართალი ბევრჯერ გამხდარა ეროვნული სახელმწიფოების სამართალი. ტრადიცია-ზნე-ჩვეულებებით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, თუმცა, მათი სამართალი ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას, ნაწილობრივ მათ ჩვეულებებთან მიმართებითაც. თუმცა, როგორც მკვლევრები ადასტურებენ, ეს ბერძნულ-რომაული გავლენების დამსახურება უნდა იყოს.

როცა სამართლის ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, გასათვალისწინებელია სამართლის რომელ დარგს ეხება საქმე. ყველაზე არანაციონალური სამოქალაქო სამართალია. მთელი მსოფლიო დავალებულია რომაელებისაგან. მათი „corpus Juris civilis-ი გახდა ყველაზე ძლიერ-

⁷⁹ იქვე, 124.

რი „სამართლის ნიგნი“, რომელმაც გავლენა მოახდინა მრავალი ხალხის სამართლებრივ ცხოვრებაზე. საკითხავია რატომ?

ამის მიზეზი ის არის, რომ სამოქალაქო ურთიერთობები თავისი ნატურალური ბუნების გამო თავადვე განაპირობებს თავისსავე სამართალს. ამ აზრით, იგი გარკვეულწილად დისტანცირდება კანონმდებლისაგან. ამას ემატება ადამიანთა მოთხოვნილებანი ფლობდნენ სამოქალაქო უფლებებს. მთელი კანონმდებლობა, რომ გაუქმდეს, ადამიანები მაინც შევლენ სამოქალაქო ურთიერთობებში. როგორც ადამიანთა ბუნებრივი (ნატურალური) სუბიექტი და ჩვენ ისლა დაგვრჩენია ვალიაროთ მისი რეალური არსებობა, სამოქალაქო ურთიერთობებზე ვერ ვიტყვი, რომ ისინი არ არსებობენ. განსხვავება ფაქტობრივსა და ფორმალურ ურთიერთობებს შორის ის იქნება, რომ თუ პირველის შემთხვევაში ფორმალურად აღიარებული ღირებულებებისაგან მეტნაკლებად გაუცხოებული სამოქალაქო ბრუნვა ყალიბდება, მეორე შემთხვევაში დაბალანსებული და განონასწორებული ურთიერთობები გვაქვს. რომის სამართალი წარმოადგენდა სწორედ ასეთი ურთიერთობების არსებობის საფუძველს. ამანაც განაპირობა ის ამბავი, რომ სხვადასხვა კულტურის ხალხები დიდი ინტერესით იღებდნენ ამ „უკვდავების წამალს“, რაც არ იყო მოდას აყოლა. ეროვნული სახელმწიფოები ცდილობდნენ ამ გზით შეექმნათ ისეთი სამართალი, რომელიც მარტო საკუთარ მოქალაქეებს კი არ გამოადგებოდათ, არამედ სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან დააკავშირებდა. „ხალხთა სამართალი“ „*Ius gentium*“ საამისოდ საუკეთესო საშუალება იყო. გერმანიაში მიმდინარე დისკუსიები რომის სამართლის რეცეფციასთან დაკავშირებით სწორედ ამისი გამოხატულება იყო. ფრანგებისაგან განსხვავებით, გერმანელებმა კოპირება კი არ მოახდინეს რომის სამართლის, არამედ მოახერხეს გერმანულ ელემენტებთან შეეზავებინათ იგი. ეს უნდა მივიჩნიოთ სამართლის ისტორიული სკოლის სუსხად, რომელიც დაეტყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. რაც შეეხება სამართლის ისეთ სფეროს, როგორიცაა კრიმინალური მეცნიერებანი, ისინი შედარებით ფიქტიური დარგებია სამართლისა. რუდოლფ შტაინერის თქმით, ისინი სოციალური ცხოვრების კვამლია. თუ ჩამოიშლება მოქმედი კანონმდებლობა, მაშინ სრული ანარქია გაბატონდება და მთელი სოციალური ცხოვრება ცეცხლის ალში გაეხვევა.

სამოქალაქო კოდექსი ვერ იქნებოდა ნაციონალური კოდექსი სწორედ იმის გამო, რომ არ არსებობს წმინდა ნაციონალური პოზიტიური სამართალი. თანაც მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომ ეპოქა, რა დროსაც დავინყეთ ამ კოდექსის შემუშავება, წარმოადგენდა სამართლის არნახული გლობალიზაცია-რეგიონალიზაციის ეპოქას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ბრემენელი პროფესორი როლფ კნიპერი ამ გარემოებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პირველი დღიდანვე მიაპყობს ყურადღებას. იგი აღნიშნავს, რომ... „ბაზარზე ორიენტირებული სამოქალაქო კანონმდებლობა აშკარად წარმოაჩენს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის აუცილებლობას და ამის გამო იგი ხშირად ფასდება სპეციფიკური ეროვნული ტრადიციებისა და მათი ეკონომიკური საფუძვლების დაკარგვად“.⁸⁰ ასეთ ვითარებაში ნაციონალური სამართლის გენიალურობაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია.

⁸⁰ კნიპერი რ., კოდიფიკაციის მეთოდები და კონცეპციები გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებში (საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით). ნიგნი: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 179; ასევე იხილეთ დეტალურად გარდამავალი ტიპის საზოგადოებებში სამართლის რეფორმის შესახებ: *Knieper R., Boguslawski M., Konzept Zur Rechtsberatung in Transformationsstaaten*, Eschborn, 1995.

თუკი მხედველობაში მივიღებთ სამოქალაქო კოდექსის ტრადიციების კონტექსტში სამართლის ეროვნულობას, აქაც მისი საფუძველი ერთობ სუსტია. სანიმუშოდ თუ ავიღებთ კონტინენტური ევროპის სამართალს, კერძოდ, როგორცაა ფრანგული და გერმანული, დავინახავთ, რომ რომის სამართალზე ამოზრდილი ეს კოდექსები სანიმუშოდ იქცა სხვადასხვა კულტურის მქონე ქვეყნებისათვის. თანამედროვე იაპონიისა და ბოლოდროინდელი ჩინური სამოქალაქო კოდექსები გერმანულის საფუძველზეა შექმნილი. ფრანგული ტრადიცია დამკვიდრდა (უფრო სწორად შენარჩუნდა) ამერიკულ სამართალში (ლუიზიანას შტატი). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავებანი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამათუიმ ქვეყნის სამართლის მოდელზე აიგოს საკუთარი ქვეყნის სამართალი. ერთ დროს რუსებიც აპირებდნენ ნაპოლეონის კოდექსის რეცეფცია მოეხდინათ. ან კიდევ ავიღოთ საბჭოთა რუსეთი, მათი სამოქალაქო კოდექსი ხომ ძირითადად დაემყარა გერმანულს,⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვქონდა სრულიად განსხვავებული ტიპისა და კულტურის ქვეყნებთან.

სამართლის რეცეფციას განსხვავებული კულტურის ქვეყნებში ხელს არ უშლის რელიგიური ფაქტორი. მუსლიმანური ქვეყნებიდან უნდა დავასახელოთ თურქეთი, რომლისთვისაც სანიმუშო აღმოჩნდა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი. როგორც თურქული სამართლის მკვლევარი თეომან აკიუნალი აღნიშნავდა, XX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს საბოლოოდ მოისპო დუალიზმი ისლამურსა და ევროპულ სისტემებს შორის. ამას ხელი შეუწყო მუსულმანური ქვეყნების მხრიდან XIX საუკუნეში ევროპული კულტურით დაინტერესებამ.⁸² ეს უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვან გარღვევად რელიგიური გავლენისაგან გათავისუფლების საქმეში. საერთოდ რელიგიური ფაქტორი გაცილებით მჭიდროდაა შეზრდილი მუსულმანური სისტემის სამართალში, ვიდრე ქრისტიანული ქვეყნების სამართალში. რელიგიისაგან სამართლის დისტანცირება რომის სამართლისთვისაც იყო დამახასიათებელი. ამან ხელი შეუწყო სამართლის წმინდა ბუნების ჩამოყალიბებას. მსგავსი მიდგომები შეიმჩნეოდა ქართულ სინამდვილეში – ფუნქციები გაყოფილი იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ერთი საეკლესიო ცხოვრებას აწესრიგებდა, მეორე კი – საეროს. ერთადერთი სფერო, რომელზეც ეკლესიამ დიდხანს შეინარჩუნა გავლენა, ეს იყო საქორწინო-საოჯახო ურთიერთობანი. ეს იმიტომაც, რომ ცოლქმრული კავშირი ღვთის მიერ კურთხეულ კავშირად განიხილებოდა და ეკლესია ადგენდა დასაქორწინებელ პირთა წრეს ბუნებრივი ნათესაობის სივრცეში. მინდა გავიხსენო, რომ სამოქალაქო კოდექსის შემუშავების დროს ჩვენც აღმოვჩნდით ამ პრობლემის წინაშე. საკითხი იდგა შემდეგნაირად: ნათესაობის რომელ ხარისხამდე იყო დასაშვები ქორწინება? თუ საეკლესიო სამართალს დავემყარებოდით, მაშინ ქორწინება უნდა აგვეკრძალა ნათესაობის მეშვიდე თაობის ჩათვლით, რაც კომისიამ არ გაითვალისწინა და ნათესაობის ვიწრო წრით შემოიფარგლა. კომისია ამას პრაქტიკული მოსაზრებებით ხსნიდა, კერძოდ, ახალგაზრდა წყვილებს უხსნიდა გზას დაქორწინებულიყვნენ და ნათესაობა არ გამხდარიყო ისეთი წინაღობა, რაც გამოიწვევდა მექორწინეთა რიცხვის შემცირება.

⁸¹ იქვე, 187. ასევე იხ.: ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. კრებული: სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994, 141.

⁸² Акюнал Т., О глобальной рецепции Швейцарского гражданского права в Турции. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ეკონომიკისა და სამართლის სერია) 1992, №2, 93-94.

14. წინა საკითხის დამატება

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კოდექსის ეროვნულობაზე სხვადასხვა გამოკვლევაში⁸³ მაქვს საუბარი და ამ გარემოების გამო აქ მხოლოდ ცოტას დავამატებთ ზემოთ ნათქვამს. სამოქალაქო კოდექსის პროექტზე მუშაობისას წამოიჭრა კოდექსის ეროვნულობის საკითხი, ოღონდ ძალიან ფერმკრთლად. ეს იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰქონდა რაიმე ტრადიცია ეროვნული სამართალშემოქმედებისა, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებდით, როგორც ამ აქტის წყაროს. ფეოდალური სამართლის ძეგლები ძველი დროის აქტები იყო და ახალ დროში მათ ვერ დავეყრდნობოდით. რუსულ სამართალს, მიუხედავად დიდი ნდომისა, ევროპული ტიპის სამოქალაქო კოდექსი არ შეუქმნია. იგი დაკმაყოფილდა კანონთა წიგნების გამოცემით. ძველმა ქართულმა სამართალმა თავისი როლი შეასრულა იმ აზრით, რომ იგი აღმოჩნდა ბიძგი დასავლური სამართლის მიმართულებით. რაც შეეხება საბჭოთა სამოქალაქო კოდექსს, მას ემჩნეოდა ნაწილობრივ გერმანულის კვალი, რაც ტიპური საბჭოთა სამართლის ნორმებით იყო დაჩრდილული. მოკლედ, ჩვენ აღმოვჩინდით ტრიალ მინდორში, სადაც ახლო-მახლო არცერთი ქართული სამართლის ძეგლი არ იდგა, რომელსაც გამოვიყენებდით. ეს ერთი მხრივ ცუდი იყო, მაგრამ მეორე მხრივ კარგიც იმ აზრით, რომ თავისუფლები ვიყავით. თუმცა, როგორც ითქვა, არჩევანი ისტორიულად იყო განსაზღვრული – ეს იყო ევროპული სამართლისაკენ მიმავალი გზა. ამის მიუხედავად, ხალხის მართლშეგნება არ გამრუდებულა და ევროპული ღირებულებები ჩვენგან განუყოფელი იყო, როგორც ვოლტერი იტყვის, თითქოს ჩვენ მეტაფიზიკური იდეებით ვიყავით დაბედებული.⁸⁴ ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. ხალხიც, ცალკეული ადამიანის მსგავსად საერთო შუბლით იბადება და იგი გონისმიერ თუ გრძნობისმიერ მოქმედებაში ავლენს კოლექტიურ ნებას (იმუნიტეტს). გარდა ამისა, ჩვენმა ძველმა მემკვიდრეობამ გარკვეული როლი ითამაშა იურიდიული ენის შექმნაში, თუმცა, ერთგვარი სიღარიბის გამო უცხო ენებიდან მოძალებულ-მოდენილი ტერმინების მასთან მიუსადაგობამ იგი სერიოზულად დაანაგვიანა. ამ საკითხებზე მოგვინევს სერიოზული დაფიქრება.

სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას უცხოელი ექსპერტები თვლიდნენ, რომ ისინი არ უნდა ჩარეულიყვნენ საქორწინო და საოჯახო სამართლის წიგნის შემუშავებაში. მიიჩნევდნენ, რომ ამ სფეროში შესაძლებელია ყოფილიყო მომეტებულად ეროვნული თავისებურებების მქონე ნორმები. მართლაც, ისტორიულად, საოჯახო სამართალი საეკლესიო და საერო სამართლის ნაწილს განეკუთვნებოდა. ძველ საქართველოში საეკლესიო წიგნებით, კერძოდ, დიდი სჯულის კანონით იყო ბევრი რამ მოწესრიგებული, ამასთან, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულშიც უხვად იყო მისი მარეგულირებელი ნორმები, რომელნიც მაინც საეკლესიო სამართლის გავლენით ყალიბდებოდა. თანდათანობით ამ საკითხის მოწესრიგებაში იმარჯვებს საერო სამართალი და იგი ხდება მისი სრულად მოწესრიგების საფუძველი. საეკლესიო წესები სხვადასხვა რიტუალის სახით შემორჩა როგორც სიმბოლური ხასიათის მატარებელი წესები. ხალხი იმდენად ერთგულია მათი, რომ ქორწინების რეგისტრაციამდე ჯვრისწერის ცერემონიის ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევენ. ქრისტიანულ ქვეყნებში მოქმედი მონოგამიური ქორწინების წესი, სარწმუნოების სხვა მიმდევრებზეც (მაგალითად, მუსულმანები) გავრცელ-

⁸³ ზოიძე ბ., დასახელებული ნაშრომი, 106-112.

⁸⁴ ვოლტერი, უვიცი ფილოსოფოსი – მოთხრობები (უვიცი ფილოსოფოსი), ფრანგულიდან ვალერი ოთხოზორიას თარგმანი. გამომცემლობა „პალიტრა“, 2025, 162.

და. მემკვიდრეობის მონესრიგებაც მთლიანად სახელმწიფომ აიღო ხელში. სიმართლე ითქვას, ბევრი ვერაფერი ეროვნული ვერ აღმოჩნდა ამ დარგშიაც. თუმცა, შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესი აქაც დღევანდელობის სერიოზული გამოწვევაა. ეს აიხსნება ქალის, მამაკაცისა და ბავშვის უფლებების დაცვით, რაც არ არის უცხო ჩვენი ისტორიისთვისაც.

15. საკუთარი სამართლის განსაზღვრის სუვერენული უფლება

სამართლის რეფორმის უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მისი ძირითადი მიმართულებებისა და ღირებულებითი აღნაგობის კუთხით სახელმწიფოს სუვერენული უფლება ხელშეუვალია. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს სამართლის რომელი სისტემის ნაწილი გახდეს. თუმცა, ეს სრულად მის სუბიექტურ გემოვნებაზე არ არის დამოკიდებული. ქვეყნის ისტორიული წარსული, მისი კულტურული შუბლი და ხალხის სამართალშეგნების მდგომარეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ საქმეში. თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ ფაქტორებს არავითარი როლი არ უთამაშია არჩევანის გაკეთებაში (თურქეთი ამისი შესანიშნავი მაგალითია). საქართველოს ვითარებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბერძნულ-რომაული სამყაროს ორბიტაში მისი ხანგრძლივი ყოფნა და ის, რომ საქართველო ისტორიულად პოზიტიური სამართლის ქვეყანა იყო, მიუხედავად სასამართლო პრეცედენტების დიდი როლისა. ამას ემატება კერძო ინტერესების დომინანტობა მთელი მისი ისტორიის მანძილზე. ამ მხრივ ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირში ყოფნის დროსაც არ შეგუებია კერძო ინტერესების იგნორირებას. ერთადერთი დადგენილება კერძო-მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებით მიიღო.

მე თვითონ ვიყავი რეფორმის პროცესების მონაწილე და ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს შეეზღუდა უფლება საკუთარი ნებით შეექმნა საკუთარი სამართალი და განესაზღვრა სისტემური იდენტობა. არც გამართულა დისკუსიები იმასთან დაკავშირებით, შეიძლება გამხდარიყო თუ არა საქართველო ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის წევრი. ამ კუთხით საკითხი არც ძველ საქართველოში დასმულა და არც საბჭოთა კავშირის დროს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საამისოდ ცოტანი იყვნენ მრჩეველები. მათი ყველა ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. ანგლო-ამერიკული სამართლის ცალკეული ინსტიტუტები ჩვენს სამართალში შემოდიოდა ევროპული სამართლის გავლით, მაგალითად, როგორიცაა ლიზინგი, მოდიფიცირებული ტრასტი და ა.შ.⁸⁵

ბუნებრივია, ყველა შემთხვევაში სახელმწიფო წყვეტს თავისი ღირებულებითი ორიენტაციის საკითხს. მაგრამ როგორც ითქვა, ის შებოჭილ-შეზღუდულია სამართალში მიმდინარე პროცესებით, კერძოდ, არნახული უნიფიკაცია-ჰარმონიზაციით, რაც ასევე ცხოვრების გამოწვევაა და მას აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიონ ე.წ. ეროვნულმა სახელმწიფოებმა. ეს პროცესი იმდენად ძლიერია, რომ იგი იწვევს სამართლის სხვადასხვა ოჯახების დაახლოებას. მაგალითად, პოზიტიური და პრეცედენტული სამართალი, რომელთა შორის სამართლის სადამფუძნებლო საკითხში პრინციპული განსხვავებაა, თანდათანობით ამ თვალსაზრისითაც უახლოვდებიან ერთმანეთს. რაც შეეხება ინსტიტუციურ მსგავსებას, ეს საკმაოდ თვალში სა-

⁸⁵ დეტალურად იხ. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 327-347.

ცემია და იგი შესანიშნავად დახატა ბრემენელმა პროფესორმა როლფ კნიპერმა. ეს მსგავსებანიც განპირობებულია საგანთა შინაარსის ობიექტური განპირობებულობით. განა შესაძლებელია ხელშეკრულების თავისუფლების გაგებაში სერიოზული განსხვავება იყოს ევროპელ და ამერიკელ იურისტებს შორის. ბოლოს და ბოლოს რომის სამართალი სამართლის ორივე ოჯახზე ახდენდა გავლენას. დაახლოების ტენდენცია შეიმჩნევა სამართლის ქმნადობის (დაფუძნების) პროცესებშიც. ეს ვლინდება იმაში, რომ ანგლო-ამერიკულ სამართალში სულ უფრო და უფრო იზრდება კანონის მნიშვნელობა, ევროპულში კი, პრეცედენტების როლი. ეს ფაქტორი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამართლის აღმოცენება ხდება ორივე მიმართულებით, როგორც „უშუალოდ სასამართლო პრაქტიკიდან“, ისე „ჭკვიან კაცთა“ (კანონმდებელთა) გადაწყვეტილებებიდან. ამ პროცესში ნდობის თვალსაზრისით, ნაკლებად საეჭვოა პრეცედენტები, როგორც სამართლის ცოცხალი ძეგლები. ესეც განაპირობებდა იმას, რომ ვახტანგ VI მოსამართლეებს ნებას რთავდა თავიანთი პრაქტიკის საფუძველზე შეევსოთ მისი სამართლის წიგნი. სულ ახალი მაგალითი პრეცედენტის მიმართულებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას უფლება აქვს ქვემდგომი სასამართლოებისათვის სავალდებულო განმარტებანი გააკეთოს. ფაქტობრივად განმარტებას კანონის ძალა ენიჭება. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის ნორმატიული შინაარსის კონცეპციის საფუძველზე დაიწყო სასამართლო გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის შემოწმება.⁸⁶ ეს და მრავალი სხვა ფაქტორი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეროვნული სახელმწიფოების საკანონმდებლო ნება ხდება ტექნიკური საშუალება იმის გასაფორმებლად, რასაც ცხოვრება უყენებს დღეს სახელმწიფოებს.

16. სუვერენიტეტის პრობლემა თანამედროვე სახელმწიფოში

სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას თავის ნებაზე მოაწყოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, თუ მათი სუვერენიტეტის შინაარსი რა ტიპის ღირებულებების მომცველია, კერძოდ იმით, რამდენად პასუხობს იგი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამართლისადმი მისი დამოკიდებულება – ეროვნული (შიდა) სამართალი იქნება იგი თუ საერთაშორისო. ამ ნაშრომის წინა ნაწილში პროფ. იზორიას გამოკვლევაზე დაყრდნობით ვაჩვენებთ სახელმწიფოს ფუნქციური ინტერნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია. ახლაც ფაქტობრივად ვაგრძელებთ ამ თემას. კითხვა ასე დგას: არის თუ არა თანამედროვე სახელმწიფო სუვერენული. ცხადია არის! მისი ნების გადამწყვეტი როლის გარეშე თანამედროვე სახელმწიფოში სუვერენიტეტთან დაკავშირებით არაფერი არ ხდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თანამედროვე სახელმწიფო ჩამოგავს ერთეულ ადამიანს. საქმე იმაშია, რომ ერთეული ადამიანი ვერ იარსებებს სხვა ადამიანთან კომუნიკაციის გარეშე, კომუნიკაცია კი, გულისხმობს გარკვეული აზრით, საკუთარი დამოუკიდებულობის შეზღუდვას. თავი თუ არ შეიზღუდე, ისე ვერ იქნები დამოუკიდებელი. ურთიერთმხრივი შეზღუდვები ცალკეულთა უფლებების სადამფუძნებლო საშუალებანია. სამართლით, ჩვენ, ისევე, როგორც სახელმწიფო, ვიზღუდებით. შეიძლება ეს არ მოგვწონდეს, მაგრამ მას აუცილებლობა განაპი-

⁸⁶ იხ. ზოიძე ბ., „ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონცეფცია“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ნოდარ დვალის საქმეზე“ საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით, ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2021-2022, 11-24.

რობებს. მართლწესრიგი ვერ გამოიწვევს გამიზნულ შედეგს, თუკი მის მიმართ პატივისცემით არ ვიქნებით განწყობილი. მართლწესრიგის ფასი საერთო ღირებულებების აღიარებაშია, ჩვენ ამ ღირებულებებით კიდევ ვიბოჭებით და კიდევ თავისუფლები ვხდებით. სახელმწიფოც ამ მდგომარეობაშია, სუვერენიტეტის ორივე განშტოება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ქვეყნის შიგნით სუვერენიტეტის წყარო ხდება საგარეო სუვერენიტეტი. ღირებულებებით გაჯერებული სამართალი და მმართველობა რომ გქონდეს, ვერ იქნები მარტო საკუთარი თავის იმედზე, ჭაობში მყოფი მიუნჰაუზენის მსგავსად. სახელმწიფომ, ოქროს მაძიებელივით, ქვეყნის გარეთაც უნდა მოძებნოს საკუთარი დამოუკიდებლობის ღირებულებითი განძეულობა. სამართლის რეფორმამ კარგად დაადასტურა ეს აზრი (ჭეშმარიტება). არ ყოფილა რაიმე გაძალიანება არც შიგნიდან და არც გარედან იმასთან დაკავშირებით, როგორი ტიპის კოდექსები ექნებოდა ქვეყანას. ქვეყნის გარედან ღირებულებითი ნაკადის შემოდინება მისი სუვერენიტეტის განმტკიცებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე უარყოფას. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება სამართლის რეფორმის სამ ათეულზე მეტი ხნის ისტორიამ შესანიშნავად დაადასტურა. ყველაზე სუვერენული ქვეყენა ის არის, სადაც სახელმწიფო შებოჭილია ადამიანის ძირითადი უფლებებით.

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესმა თანამედროვე სახელმწიფო აქცია საერთო ინტერესებით გაჯერებული საერთაშორისო ურთიერთობების თანამონაწილედ. მარტო ევროსაბჭოს წევრობა რომ ავიღოთ, ამით ჩვენი სახელმწიფო შეუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და აღიარა იგი ქვეყნის შიდა სამართლად. ბუნებრივია ევროსაბჭოს სამართალი ბოჭავს ეროვნულ სახელმწიფოებს და „აიძულებს“ გახდეს თანამოზიარე საერთო ღირებულებებისა. დღემდე განხორციელებული რეფორმები სამართალში ამისი უტყუარი დადასტურებაა. თუმცა, ეს არ ართმევს სახელმწიფოს უფლებას, ზოგიერთ საკითხში არ დაეთანხმოს საერთაშორისო სამართლის მოქმედებას. ამ მიზნით მან სათანადო დათქმები უნდა გააკეთოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებისას.⁸⁷ მაგალითად, როცა საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის რატიფიკაცია, გააკეთა დათქმა, რომლის მიხედვითაც იგი დროებით არ გავრცელდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი ის ფაქტი, რომ სახელმწიფო თავისი სუვერენიტეტის მოდიფიკაციას ახდენს საერთაშორისო კავშირებში გაერთიანებისას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულებათა მთელ წყებას, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს ევროკავშირის წევრი რომ გახდეს. ბუნებრივია, იგულისხმება რომ ეს ვალდებულებანი ევროპული გაერთიანების ღირებულებების მოქმედება-გაზიარებას ეხება. აღსანიშნავი ის არის, რომ არადემოკრატიული სახელმწიფოებიც კი სხვა სახელმწიფოებთან კავშირის გარეშე ვერ ახერხებენ საკუთარი სუვერენიტეტის განახორციელება-დაცვას. თუმცა, ისინი მიდრეკილი არიან ეს ურთიერთობები იქონიონ მსგავსი ღირებულების მქონე ქვეყნებთან. მოკლედ, ჩვენ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჭეშმარიტი ღირებულებებით გაჯერებული დაცვაუნარიანი სუვერენიტეტი რომ მოიპოვო, საჭიროა გახდეს საერთო ღირებულებებით გაერთიანებული სახელმწიფოების გაერთიანებათა (კავშირთა) თანამონაწილე. თუ სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი არ დათმე, ვერ გახდები მისი მონაწილე და ვერ მოიპოვებ ჭეშმარიტ სუვერენიტეტს. ასეა სა-

⁸⁷ იხ. კუპრაძე ს., ტერიტორიული დათქმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ და ქართული პრაქტიკა. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კორკელია კ., თბ., 2010, 66-90.

ზოგადოებრივი ცხოვრების მცირე უჯრედებშიც. ყოველი ორგანიზაცია საერთო ინტერესებითა და ღირებულებებით გაერთიანებულ პირთა კავშირია.

17. ღირებულებებით მანიპულირების დაუშვებლობა

რა ჩამოთვლის იმ ღირებულებებს, რომელზედაც აგებულია სამართლებრივი სახელმწიფო. მათგან უმნიშვნელოვანესია სამართლის უზენაესობა, სამართლიანობა და სწორი მართლმსაჯულება. ეს ღირებულებები გონისმიერი ღირებულებებია, ვინაიდან ისინი გონების მხრიდან განსჯას ექვემდებარებიან. მოკლედ, ისინი ჩვენგან მოითხოვენ გონისმიერ აზროვნებას-შეფასებას. რაც შეეხება ღირებულებათა მეორე ჯგუფს, როგორიცაა კულტურული ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, მორალურ ფასეულობებს უკავშირდებიან. მაგალითად, საოჯახო ურთიერთობანი, უფრო გრძნობისმიერი ღირებულებებია. ისინი ჩვენი მხრიდან მგრძნობელობით იმპულსებს აღძრავენ და არსებითად გრძნობისმიერი შეფასების ობიექტებია. ჩვენ არ გამოვრიცხავთ გონების აქტიურ როლს ამ სფეროშიც, მაგრამ ასეთი განსჯა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს თუ ხელენიფება. ამიტომაც, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ადგილის სწორად განსაზღვრა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი სახელმწიფო სამართლებრივ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოა, რომლის ერთერთი მთავარი ამოცანაა საზოგადოების კულტურული ღირებულებების დაცვა. გამოდის რომ სახელმწიფო ამ კონტექსტში წარმოადგენს იარაღს რაიმეს დასაცავად. ეს რაიმე კი ადამიანის უფლებებია ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს იმ ფასეულობებსაც, რომელნიც განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებენ ჩვენზე. მოკლედ, თუ არ იქნება ღირებულებებით შეკრული სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანიზმი, ვერცერთი ღირებულების დაცვა ვერ მოხდება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, გონისმიერი თუ გრძნობისმიერი. ადამიანთა მხრიდან დამოკიდებულების კონტექსტში არცთუ ისე ადეკვატური შედარებაა რომ მოვიტანოთ, დაახლოებით ისეთი მიმართება გვაქვს, როგორსაც რუდოლფ იერიხტი აღგვიწერს გლეხისა და ოფიცრის ღირებულებებთან დამოკიდებულების მაგალითზე. ის აქ რომ გადმოვიტანოთ გონისმიერი და გრძნობისმიერი განსჯის კონტექსტში, ასეთ სურათს მივიღებთ: ვთქვათ, რიგით მოქალაქეს, კერძოდ, გლეხს ვეკითხებით: კანონის უზენაესობა გირჩევნია თუ ის, რომ შენი მეზობელი არ იყოს „ლგბტ“-ს წევრი, მაგალითად, მამათმავალი. დარწმუნებული ვარ, ის დიდხანს არ იფიქრებს და პირდაპირ მოგახლित პასუხს: ცხადია არ მინდა, რომ ასეთი მეზობელი ან მეგობარი მყავდეს. იბადება კითხვა: რატომ აკეთებს ასეთ არჩევანს? იმიტომ, რომ მეორე შემთხვევას იგი განსჯის გრძნობების საფუძველზე და მისგან განიცდის ღირსებისმიერ ტკივილს, მაშინ როცა პირველი მისთვის ცივი გონების განსჯის სფეროა. მე არ ვამბობ, რომ გლეხი ამაში დამნაშავეა. გრძნობისმიერი განსჯა სხვაგვარად შეუძლებელია. აქ არც შეფასებას მოვყვებით. საინტერესო ის იქნება, რატომ ამჯობინებს მას გლეხი კანონის უზენაესობას. იმიტომ, რომ მამათმავალი მეგობრის თუ მეზობლის ყოლას იგი საკუთარი მორალური გრძნობების, უფრო სწორად, საკუთარი მორალური სამართალსუბიექტობის შელახვად მიიჩნევს და ამას ცხადია არ განიხილავს ადამიანის უფლებების კონტექსტში. მას არ აინტერესებს ის მიზეზი, რაც ადამიანს ამ მდგომარეობაში აყენებს, დაახლოებით ისეა, როცა პატიოსანი და წესიერი ადამიანი გაურბის სახელგატყეხილ პირთან სიახლოვე-მეგობრობას. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მეორე შემთხვევა მისთვის არაღირებულებაა და ფიქრობს, რომ მეზობელი ან მეგობარი ასეთი არ უნდა იყოს. მას იმის დაშვებაც არ უნდა, რომ ადამიანი შეიძლება იყოს ასეთი. იგი მუდმივი დაპირისპირება-შეურიგებლობის

რეჟიმში იმყოფება და ივინყებს იმას, რომ მეძავი ქალი მარიამ მაგდალინელი მაცხოვარმა სწორ გზაზე დააყენა და შემდგომ იგი წმინდანად შეირაცხა. იგი შეუერთდება იმ ბრბოს, რომელიც ამ ქალის ჩაქოლვას მოითხოვდა. მას ზოგიერთი სახელმწიფოს მსგავსად ავინყდება, რომ დასჯა არ არის საუკეთესო გამოსავალი და ამ გზით სასურველი შედეგი ვერ დადგება. მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მდგომარეობა არ შეიცვალოს, როგორ მოვიქცეთ, ისევ ქვა მოვიმარჯვოთ და ჩავქოლოთ ადამიანი? ცხადია არა! სახელმწიფომ იგი უნდა დაიცვას. მაპატიეთ ცუდი შედარებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ცხოველებს იცავს და ადამიანი არ უნდა დაიცვას? ახლა იკითხავთ, რატომ მოვაყოლე ამდენი ამბავი. იმიტომ, რომ ვინმემ არ დაიწყო ადამიანთა გრძნობების ბოროტად გამოყენება და ამით არ დაჩრდილოს ის მთავარი ფასეულობანი, რის საფუძველზეც შენდება სამართლებრივი სახელმწიფო. ცუდ პოლიტიკოსს შეუძლია გამოიყენოს ადამიანის ეს ერთობ მგრძნობიარე და სუსტი წერტილი და აამხედროს იმათ წინააღმდეგ, რომლებიც გვირჩევენ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად პატივი უნდა ვცეთ იმ ღირებულებებს, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. დანარჩენი, როგორც იერიინგი იტყოდა „ხასიათის პოეზია“ და ყოველი ხალხი თავისი კულტურის საფუძველზე თვითონ წყვეტს, როგორ მოიქცეს. უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ არის ხალხის კულტურული, მორალური ფასეულობების მტერი. ის რაც შეიძლება მისგან გაუცხოებულად ჩანდეს, ისიც მისი, ბუნებრივი თანამგზავრია და ასატანია იმდენად, რამდენადაც ტრადიციული ცხოვრების წესს არ უქმნის საფრთხეს. მთავარია რომ სახელმწიფომ თავისი დამოკიდებულებით ხელი არ შეუწყოს მის გაღვივება-გავრცელებას. ამას ვერც ვერავინ დაავალდებულებს სახელმწიფოს, ევროსაბჭო იქნება თუ ევროკავშირი. ერთადერთი რითაც შეიძლება სახელმწიფო დაავალდებულდეს ის იქნება, რომ პატივისცემით მოეპყრას და დაიცვას განსხვავებულთა უფლებები. არ უნდა დაგვაზიწყდეს, რომ ადამიანებს ყველაფერი როდი მოგვწონს, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მაგრამ მაინც გვინევს ზოგი რამის თმენა. ერთ-ერთი საუკეთესო გზა ამის ატანისა, არის მათგან დისტანცირება, როცა ეს შესაძლებელია. ადამიანები ხომ თვითონ წყვეტენ ვისთან დაამყარონ კომუნიკაცია, როცა ასეთი კომუნიკაცია სავალდებულო არ არის.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ იქნება ურიგო რუდოლფ შტაინერის სოციალური ცხოვრების სამწვეროვანი სისტემა გავიხსენოთ. ესენია: სულიერი, ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრება.⁸⁸ პირველი მათგანი რელიგიური ცხოვრებაა და არსებითად რწმენის ფაქტორს უკავშირდება. აქ არ სვამენ კითხვას: რატომ გწამს? – მწამს, ამით მორჩა და გათავდა. თუმცა, კარგად მაქვს გაცნობიერებული რელიგიურ მცნებათა და ღირებულებათა მნიშვნელობა. მწამს იმიტომ, რომ ჩემი მორალურ-ზნეობრივი სახისმეტყველება მასთან დაკავშირებულად მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, რწმენა არ ფასდება ჭეშმარიტების კანონით, რაზან მწამს, მაშასადამე, ჭეშმარიტია. ღრმად მორწმუნე კი არ აფასებს, არამედ მას სწამს. რაც შეეხება ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებას, ესენი რწმენის მიღმა არიან და შეფასებას იმსახურებენ. როცა მშია, როგორ შეიძლება მწამდეს, რომ მაძლარი ვარ, როცა ფული არ მაქვს, როგორ შეიძლება, რომ ფულის მქონედ მივიჩნევდე თავს, როცა უკანონობას ვხედავ, როგორ ვთქვა, რომ ეს კანონიერებაა. „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ.“⁸⁹ დეკარტის ეს გამონათქვამი ზედგამოჭრიალია ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაზე. საკმარისია

⁸⁸ იხ. შტაინერი რ., სოციალური მომავალი (Rudolf Steiner, Soziale Zukunfi), გერმანულიდან ვ.ქირიას და დ.კვარცხელიას თარგმანი, გამომცემლობა ასოციაცია „კოგნიტი“, თბ., 2008, 30, 48 და ა.შ.

⁸⁹ იხ. დეკარტი რ., ფილოსოფიის საწყისები, ფრანგულიდან დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, გამომცემლობა აპრიორი, თბ., 2023, 8.

ეს ცხოვრება ჩვენ მოვაქციოთ რწმენის სივრცეში, რომ საგანთა ბუნება სხვა განზომილებით წარმოჩინდება. მშვიერი მაძლრად ჩათვლის თავს, უფულო ფულიანად, უკანონო კანონიერის სახეს მიიღებს და ა.შ. გაჩნდება კითხვა: შეიძლება ადამიანი ასეთ დღეში აღმოჩნდეს? მე ვფიქრობ, რომ შეიძლება, თუკი ეკლესია და სახელმწიფო შეთანხმებულად იმოქმედებენ, განმანათლებლობის გზიდან გადაუხვევენ და გონებრივი განსჯით დაქვემდებარებული საგნები გადაინაცვლებენ (გადაბარგდებიან) რწმენის სივრცეში. ეს ძალიან ძნელია და სწორად მოაზროვნე ადამიანი არ მოექცევა მისი გავლენის ქვეშ. თუმცა, აღმოჩნდება ადამიანთა გარკვეული დიდი ჯგუფი, რომელიც მას დაექვემდებარება მთელი რიგი ყალბი მოტივაციის საფუძველზე. ასეთი მდგომარეობა ძალზედ საშიშია და ხელოვნურად, უსაფუძვლოდ აფართოებს ეკლესიის მოქმედების სივრცეს. ეს შეიძლება მივიჩნიოთ რელიგიური (სულიერი) ცხოვრების მხრიდან სოციალური ცხოვრების სივრცის ანექსიად. ერთადერთი გამოსავალი აქედან თავდახსნისა, ეს არის განმანათლებლობა, აზროვნებისა და განსჯის უნარების განვითარება ადამიანებში. სულიერი ცხოვრება ასეთ ვითარებაში მისი ხელშემწყობი აღმონდება და არა ხელის შემშლელი.

18. მეცნიერების როლი

უზომოდ დიდია მეცნიერების წვლილი ახალი, ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული სამართლის ჩამოყალიბების საქმეში. სამწუხაროდ, რეფორმის დაწყებისას ჩვენი მეცნიერება იყო საბჭოური, თუმცა, მეცნიერული აზრი, რომელიც უხილავად არსებობდა ჩემი მასწავლებლების გონებაში მისგან პრინციპულად განსხვავდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ ჩვენი მეცნიერება გაათავისუფლა ამ ბორკილებისაგან და უხილავი აზრი ხილული გახდა. ცხადია, ეს ყველა მეცნიერს არ ეხება და ზოგი დღესაც ძველი ტრადიციის ერთგულია. სამართლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების (კოდიფიკაციის პროცესის) მეწინავე პროფესორები სწორედ რომ საბჭოთა მეცნიერები იყვნენ, რომელთაც ფეხიც კი არ გაუდგამთ საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ შესანიშნავად იცოდნენ რა ხდებოდა მის ფარგლებს გარეთ ისტორიული განვითარების პროცესში. ისინი თავიანთი აზროვნების სტილით იმდენად ევროპულები იყვნენ, რომ დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ სწავლულ იურისტებს შორის. ასეთი იყო ჩემი მასწავლებელი სერგო ჯორბენაძე, რომელიც გერმანულ პროფესორებსაც აკვირვებდა გერმანული სამართლის ცოდნაში. სულ ახლახან მივაბარეთ მინას ქართული სისხლის სამართლის პატრიარქი, საბჭოთა პერიოდშივე დასავლური, კერძოდ გერმანული თეორიების აქტიური პროპაგანდისტი პროფესორი ოთარ გამყრელიძე. თავის მასწავლებელთან – თინათინ წერეთელთან და მის მოწაფეებთან ერთად მათ საქართველოში საბჭოთა პერიოდშივე შექმნეს ევროპული სისხლის სამართლის კუნძული, რითაც რუსი კრიმინალისტებიც ამაყობდნენ, როცა საქმე მიდიოდა უცხოელებთან თანამშრომლობაზე. დაახლოებით ეს წააგავს ქართველი ფილოსოფიის იმდროინდელ მდგომარეობას, როცა მათ შექმნეს ასევე საბჭოთა ფილოსოფიისაგან განსხვავებული კუნძული „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის“ სახით და ამ გზით ადამიანი დააყენეს ღირებულებათა ეპიცენტრში. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბჭოთა ფილოსოფოსები ამით თავს იწონებდნენ თავიანთ უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობისას. ცხადია, გაჩნდება კითხვა: რა უნდა ყოფილიყო ამგვარი აზროვნების საფუძველი, ძველი სამეცნიერო ტრადიციები? ცხადია არა, ვინაიდან ჩვენ არ გვქონია ასეთი ტრადიცია და თითო-ოროლა მეცნიერი საამისოდ ვერ გამოდგება. ვერც გიორგი ნანე-

იშვილი და ვერც იროდიონ სურგულაძე საამისო მაგალითად არაა საკმარისი. მათ ჯერ კიდევ საბჭოთა დიქტატურის პერიოდში შეძლეს დაცვათ თავიანთი ევროპული სამართალმეტყველება. ამის გამო იყო, რომ ჩვენში კოდიფიკაციის დროს არ გამართულა ისეთი დისკუსიები, როგორსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში სავინთან ერთად. იქ მეცნიერება და კანონმდებლობა ერთმანეთს კვებავდნენ და ერთად მოქმედებდნენ. ბუნებრივია პარტიკულარული გერმანიის პირობებში უხვად იყო კანონმდებლობა, რომელსაც გერმანია კაპიტალიზმის რელსებზე გადაჰყავდა და ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ცალკეული გამოჩენილი ავტორიტეტის ერთგულება მის მიმართ, მით უფრო, იმ დროს, როცა ამ კანონმდებლობას რომაული სამართლის სუნი ასდიოდა. ჩვენთან ასეთ მოვლენებს არ ჰქონია ადგილი. ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა მკაცრად ფეოდალური იყო და მათი დიდი ნაწილი ჩვეულებებიდან იყო ნასესხები. რუსეთის იმპერიაში იძულებით გაერთიანებულ ქვეყანას მკაცრად აკრძალული ჰქონდა სამართლის დარგში დამოუკიდებელი „აზროვნების“ უფლება. ერთ დროს ქართველი მეფის თხოვნაზე საქართველოში ზარბაზნები ჩამოესხათ, რუსეთის მეფის პასუხი იყო, რომ საქართველოში რუსული ზარბაზნების ხმა უნდა ისმოდესო. მითუფრო გამაყრუებელი იქნებოდა ეს ხმა იმ დროს, როცა საქართველოს დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ქართველი მეფეების შთამომავალთა (ბატონიშვილების) მცდელობა საქართველოს საკუთარი სამართალი ჰქონოდა კრაზით მთავრდებოდა. ეს გარემოებებია მხედველობაში მისაღები კოდიფიკაციის პროცესში. მოკლედ, არ არსებობდა არც სამეცნიერო და არც კანონშემოქმედების ტრადიცია. მაშინ რა განაპირობებდა, მეცნიერული აზრის ევროპულობას? ის გარემო, რა გარემოშიც ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა, ფუძემდებლურ გავლენას ახდენდა ამ ხალხის სამართლის ჩამოყალიბებაზე. ქრისტიანული რელიგია აღმოჩნდა ევროპულ კულტურასთან ზიარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, მან აღმოსავლურ გავლენებთან მიმართებით, უფალმა მაპატიოს ამ გამოთქმისათვის, „მეხამრიდის“ როლი ითამაშა. როგორც ზემოთ ვილაპარაკეთ, ბერძნულ-რომაული გავლენები ბუნებრივად შეთავსებადი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ ქართველებს მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ბერძნებთან. ამან ათქმევინა ვახტანგ გორგასალს, რომ ჩვენ არ უნდა გაგვეწყვიტა კავშირი მათთან, მაგრამ არის რაღაც, რაც ქრისტიანობის მიღმაცაა. განა ყველა ქრისტიანი ხალხი ისწრაფოდა და ისწრაფვის ევროპისაკენ. ცხადია არა, ასეთთა რიგებს ამჟამად მიეკუთვნება რუსეთი. თავის დროზე რუსთა მეფეებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპული სამართლებრივი კულტურის თანამოზიარენი გამხდარიყვნენ, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს და ყველა მცდელობა სხვადასხვა მიზეზთა გამო კრაზით მთავრდებოდა. ცხადია, საინტერესოა რატომ ხდებოდა ასე? ბერდიაევს თუ დავუჯერებთ, ამის ბრალი რუსული კომუნიზმია – ეს ხალხი ისტორიულად ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა საზოგადო, საერთო ინტერესებს. ამიტომაც იყო რომ არ გამართლდა მაქრსიზმის კლასიკოსების აზრი, რომ სოციალიზმი ევროპის რომელიმე ერთ ქვეყანაში გაიმარჯვებდა. რუსეთი, ისტორიული მენტალობით აღმოჩნდა საამისოდ შემზადებული ქვეყანა. ევროპული სამართლებრივი აზროვნების ხერხემალს კი კერძო საკუთრება წარმოადგენს. სწორედ კერძო ინტერესების მეწინავე ხასიათი აღმოჩნდა ის ფასეულობა, რამაც ქართველ ხალხს ძველი დროიდან განესაზღვრა ევროპისაკენ მიმავალი გზა. თუმცა, მომეტებული, ზღვარგადასული კერძოობის ენერგიას აღმოაჩნდა თავისი ნაკლიც, რისი გამოსწორება მოხერხდება საზოგადო ინტერესებთან მისი დაბალანსებით. მოკლედ, საზოგადო ინტერესების პრიორიტეტმა ქრისტიანულ რუსეთს კომუნიზმისაგან უბიძგა, ხოლო, კერძო ინტერესების პრიორიტეტმა ქრისტიანულ საქართველოს – ევროპისაკენ.

თანამედროვე ქართული იურიდიული მეცნიერება ტყუპისცალია ევროპული მეცნიერებისა. რეფორმის პირველი დღიდან ჩვენი ახალგაზრდობა ისე დაეწაფა დასავლურ სამართალს, როგორც სიცოცხლისათვის აუცილებელ წყაროს. მეცნიერების ყველა მიმართულება ევროპულ ყაიდაზე მოექცა და ჩაება საერთო ფერხულში. საინტერესო ის არის, რომ ახალგაზრდობას პირველი კურსიდანვე გაუჩნდათ ამგვარი მოთხოვნილებანი და საკმაოდ კარგადაც ართმევენ თავს მას. ცხადია, ჩვენ მიუწაუზუნის მდგომარეობაში ამას ვერ შევძლებდით. დასავლეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან ურთიერთობის გარეშე ეს არ გამოვიდოდა. მნიშვნელოვანი კავშირები გაიბა გერმანიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ჩვენ პირველი ნათლობა სწორედ ჰამბურგის მაქს-პლანკის საზღვარგარეთის და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში მივიღეთ ბრემენის უნივერსიტეტის შემდეგ. ეს სხვადასხვა დროს ბევრჯერ განმეორდა. ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, რომ ევროპულ ღირებულებებს, მართო წიგნებიდან კი არ ითვისებ, არამედ იქაური ჰაერის შესუნთქვაც კი მსგავსი განწყობის მქონეა. მისასალმებელია, რომ სწორედ მაქს-პლანკის ინსტიტუტთან ერთად უკვე რამდენიმე წელია ტარდება მსგავსი კონფერენციები. ჩვენი ამოცანაა ამ ტრადიციას შევუწყოთ ხელი ყველა ვითარებაში. აქ ამ ზოგადი მსჯელობით დაგვკმაყოფილდებით და აღარ დავინწყებთ დარგობრივი თვალსაზრისით ძირითად მიმართულებებზე მსჯელობას.

19. სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა

სამწუხაროდ სასამართლო პრაქტიკა თავიდან ისეთი გაბედული არ აღმოჩნდა, როგორც მეცნიერება. როგორც ჩანს ეს იმიტაც იყო განპირობებული, რომ მეცნიერება უფრო თავისუფალია, ვიდრე სასამართლო. ამის მიუხედავად, სასამართლოები იმ თავისუფლებასაც არ იყენებდნენ, რაც სამოსამართლო სამართალს ახასიათებს. მხედველობაში მაქვს კანონის განმარტებისადმი მიდგომა. შინაგანი თუ გარედან ბოჭვის გამო, მოსამართლეები გაურბოდნენ კანონის ფართო განმარტებას და უფრო სიტყვა-სიტყვით განმარტებას ჯერდებოდნენ. ყოფილა შემთხვევები, როცა ტელეოლოგიური განმარტების გამო რიგი მოსამართლის მიმართ დისციპლინარული დევნა აღძრულა. თავიდან, როგორც საერთო სასამართლოები, ისე საკონსტიტუციო, არაფრით განსხვავდებოდნენ ამ საქმეში. თვითონ უდგენდნენ განმარტებას სადემარკაციო ხაზს და ერთგულობდნენ იმის შიშით, რომ მის მიღმა შესაძლოა საფრთხის მქონე სივრცე ყოფილიყო. საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო ადრე დაძლია ეს თავშეკავება და ნელ-ნელა ფრთები გაშალა. ცხადია ამაში ჩემი წვლილიც იყო, რაც თავიდან ბევრ უსიამოვნებასთან მაკავშირებდა. თუმცა, თანდათანობით, საკონსტიტუციო სასამართლო გახდა სამართლის ოაზისი და ხალხის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და ნებით თუ უნებლიეთ სამართალში შეაღწია პოლიტიკურმა ნებამ. ეს კი წარმოადგენდა სერიოზულ საფრთხეს სამართლის ინსტრუმენტალიზაციისა. მთავარი საკითხი, რაც სასამართლოს წინაშე იდგა, ეს იყო გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური ყოფიერების ურთიერთდამოკიდებულება. გაუბედავი და სამართლის თანამედროვე კონცეპციაში ნაკლებად ჩახედული მოსამართლისათვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფორმალურ მხარეს და არა შინაარსობრივს. ამ „ანკესს“ საკონსტიტუციო სასამართლოც ნამოეგო პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით.⁹⁰ საერთო სასამართლოებმა ამ მხრივ

⁹⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე.

საკმაოდ წინ წაიწიეს და არის დიდი მცდელობა სამართლის მატერიალური შინაარსში წვდომისა. ეს კარგის მაუწყებელია.

სასამართლოები თავიდან იშვიათად იმონებდნენ საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებს. ერთგვარი გაუცხოება იყო მის მიმართ. თუმცა, თანდათანობით, გრავიტაციის ძალით, მისი გამოყენება წესად იქცა. პირველი ძარღვიანი შემთხვევა საკონსტიტუციო სასამართლოში ეს იყო ე.წ. „ანზორ თევზაის საქმე“, ⁹¹ რომელშიც უხვად იყო დამონებული ევროსასამართლოს პრეცედენტი ე.წ. „ილაშკუსა და სხვების“ საქმეზე. ⁹² ამ ინიციატივას მხარი აუბეს საერთო სასამართლოებმაც და წესად იქცა ევროსასამართლოს პრეცედენტების გამოყენება, როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. ისინი უკვე ქართული სამართლის ნაწილად აღიქმება და აქ გაუცხოება ნაკლებია. ასე ესმის ჩვენს სასამართლოებს სამართლის ეროვნულობა, კერძოდ, როგორც ზეეროვნულობა. ძველი ქართული ტრადიცია ახლაც ძალაშია, სხვა საკითხია გადანეყვებილებათა სამართლიანობა-სისწორე. ამ მხრივ კერძო სამართალში ნაკლებია პრობლემები. მათ ადგილი აქვთ რეპრესიული სამართლის გამოყენებისას, კერძოდ, სანქციების სფეროში. თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი აქ სერიოზული კითხვის ქვეშაა და მე ვიტყვოდი სრულიად არაბუნებრივი და გაუცხოებულია სანქციის მიზნობრივ პოზიციებთან. ყველაზე გაუგებარი ის არის, რომ სახელმწიფო ცდილობს ამოქოლოს ყველა გვერდითი „ხვრელი“ (გზა), რაც სამართალდამრღვევებს გაუადვილებს ჯარიმის გადახდას. სამართლებრივი სახელმწიფო კი ვალდებულია დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს და სანქციით მიყენებული ტკივილის გაძლიერებაზე არ ფიქრობდეს. სამწუხაროდ, მე ამას ასე აღვიქვამდი ადრეც და ახლაც. სახელმწიფოს უნდა ესმოდეს, რომ სანქციებით აშენებული ქვეყანა არავის უნახავს და ის არ უნდა იქცეოდეს რიგითი მოქალაქის მსგავსად. აქაც ერთერთი მიზეზი გაუგებრობისა სასამართლოებში სამართლებრივი ფორმალიზმია. და მაინც, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ქართული სასამართლოს სწორება საკმაოდ დიდი ხანია ევროპულ სამართალზეა.

20. კანონმდებლობის რეფორმა

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს განონმდებლობის გრანდიოზული რეფორმა. მისი თავისებურება ის იყო, რომ ადგილი ჰქონდა არა მის განახლებას, არამედ პირველად შექმნას. ჯერ დაიწყო კოდიფიკაციის დიდი პროცესი და რამდენიმე წელიწადში, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში, შეიქმნა რამდენიმე კოდექსი კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით. ამავე პერიოდში (1995 წელი) საქართველომ მიიღო საკუთარი კონსტიტუცია, რომლის სერიოზული ცვლილება-განახლება მოხდა 2010 და 2018 წლებში. ჩამოყალიბდა ღირებულებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი, რის საფუძველზე იქმნებოდა მიმდინარე კანონმდებლობა. ამ კონსტიტუციის მთავარი განაცხადი იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია (მუხ. 78). ეს ვალდებულება ჩვენი ქვეყნისა შემდეგნაირად აისახა დასახელებულ მუხლში: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და

⁹¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 10 დეკემბრის №1/5/224 გადაწყვეტილება.

⁹² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 ივლისის განაჩენი საქმეზე: ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Ilascu and others v. Molodova and the Russian Federation), [G.G] განაცხადი №48787/99.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. ამ განცხადებას მოჰყვა ქართული კანონმდებლობის დაახლოვება ევროპულთან. ძირითადად ეს ხორციელდება ევროპულ დირექტივებთან მიერთებით და ჩვენი შიდა კანონმდებლობის მასთან შესაბამისობაში მოყვანით. ამ პროცესის სწორად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკონსტიტუციო სასამართლო. სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ჩვენი აზრით ადგილი აქვს კანონმდებლობის გამრუდებას და რეპრესიული სამართლის წინა პლანზე წამოწევას, რაც აუცილებლად აისახება ადამიანის უფლებების დაცვაზე. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კანონმდებელი უნდა აცნობიერებდეს იმ ფაქტს, რომ თვითონაცაა შებოჭილი ღირებულებათა კონსტიტუციური წესრიგით და სამართლის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ეს ის წითელი ხაზია, რომელსაც კანონმდებელი ვერ გადალახავს. სხვანაირად ის გაემიჯნება სამართალს და ადამიანებს უბიძგებს უწესრიგო ცხოვრებისაკენ, რაც მარტივად შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ ადამიანი მიდრეკილია ბუნებრივი წესრიგისაკენ და მართლწესრიგს მიიჩნევს გარეგან იძულებად. ერთი რამ ცხადია, რომ ჩვენი ცხოვრების საბჭოთა და რუსულ პერიოდს თუ გამოვაკლებთ, დავინახავთ რომ საქართველოში სამართლისადმი პატივისცემა და მისი იმედი ადამიანებს ჰქონდათ. შეიძლება გავიხსენოთ ქართული ფილმი „რაც გინახავს ველარ ნახავ“, სადაც ერთერთ ეპიზოდში, ქალაქელი ყარაჩოღელების თავკაცი, ბატონს, რომელსაც დატყვევებული ჰყავდა თავისი მოახლე და გათხოვების უფლებას არ აძლევდა, ეუბნება, რომ ნებით თუ არ გაატანდნენ პატარძალს, სამართლის ძალით წაიყვანდნენ. ფილმიდან ჩანს, რომ სამართლით მუქარამ ჩააფიქრა ბატონი. ბევრი სხვა მაგალითის მოხმობა შეიძლება (მაგალითად ფილმიდან „ოთარაანთ ქვრივი“), თუმცა, აქ არ ვაპირებთ მასზე საუბარს. ჩვენი დაკვირვებით, ქართული კანონმდებლობა ნამდვილად ინტეგრირებულ-ჰარმონიზირებულია ევროპულთან ზოგიერთი თვალშისაცემი გამონაკლისების გარდა. ეს, როგორც ითქვა, ყველაზე მეტად, რეპრესიულ კანონმდებლობას ეხება. ამას ემატება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მომეტებული შეზღუდვები, რაც იწვევს მისი ეჭვის ქვეშ დაყენებას.

ბიბლიოგრაფია:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე: ილასკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Ilascu and others v. Moldova and the Russian Federation*), განაცხადი №48787/99.
2. აიეტისა და ფარტაზის სიტყვები. კრებულში: „კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის მიმოხილველი“, №1, 2021.
3. *ალექსიძე ლ.*, საერთაშორისო სამართალი და საქართველო (ანტიკურ ხანიდან დღემდე), თსუ გამომცემლობა, 2012.
4. *ბერძენიშვილი ლ.*, ადამიანის უფლებები ქართულ ლიტერატურაში. წიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული ლიტერატურა, თბ., 2004.
5. *ბრაგვაძე ზ.*, ქართული სახელმწიფოს ისტორია და ადამიანის უფლებები. წიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა, თბ., 2004.
6. *ბრეგვაძე ლ.*, სახალხო გონი, როგორც სამართლის წყარო: სამართლებრივი კულტურის კონცეპციის ჩანასახი სამართლის ისტორიული სკოლის ნააზრევში. წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019.
7. *გაბაშვილი ვ.*, შრომები, ტ. I.
8. *გამსახურდია ზ.*, წერილები, ესეები, თბ., 1991.

9. დოლიძე ის., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957.
10. ელინეკი გ., ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან, ზაზა ნანობაშვილის თარგმანი, თბ., 2006.
11. ზოიძე ბ., „ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის კონცეფცია“. ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2021-2022.
12. ზოიძე ბ., გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვა ზოგადი და სპეციალური კანონების ურთიერთმიმართების დონეზე, თსუ, 2023.
13. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005.
14. თაქთაქიშვილი ლ., ადამიანის უფლებები ქართული პერიოდიკის სათავეებთან. ნიგნში: ადამიანის უფლებები და ქართული ლიტერატურა, თბ., 2004.
15. იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, გამომცემლობა „სიესტა“, 2009.
16. იუსტინიანეს ინსტიტუციები, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები: ნ. სურგულაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2002.
17. კოსტავა მ., ფიქრები ქართულ კულტურაზე, თბ., 1989.
18. კუპრაძე ს., ტერიტორიული დათქმები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმართ და ქართული პრაქტიკა. კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. რედ.: კონსტანტინე კორკელია, თბ., 2010.
19. მროველი ლ., ცხოვრება ქართულთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, 1955.
20. ნადარეიშვილი გ., ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნეების საქართველოში, თსუ გამომცემლობა, 2021.
21. სტავერჰაგენი რ., კულტურული უფლებები: სოციალური მეცნიერების პერსპექტივა. ნიგნში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. თარგმანი: ნანა ჯაფარიძე-ჭყონიასი. გამომცემლობა „Sida“, Lund University.
22. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1985.
23. ფერაძე გ., პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევები I, VI-XVIII სს., თბ., 2017.
24. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. რედ.: დოლიძე ის., თბ., 1963.
25. დოლიძე ის., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, რედ.: თბ., 1972.
26. დოლიძე ის. (რედ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, საბუთი 205, 431-434.
27. ქასრაშვილი ი., სოკრატე, თბ., 2022.
28. შოპენჰაუერი ა., სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა. თარგმანი: ვ.რცხილაძე, გამომცემლობა „Carpe Diem“, 2016.
29. შტაინერი რ., სოციალური მომავალი (Rudolf Steiner, Soziale Zukunfi), გერმანულიდან ვ.ქირიას და დ. კვარცხელიას თარგმანი, გამომცემლობა ასოციაცია „კოგნიტი“, თბ., 2008.
30. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VI, 1982.
31. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1965.
32. Häberle P., Europäische Rechtskultur, Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 1994.
33. Knieper R., Boguslawski M., Konzept Zur Rechtsberatung in Transformationsstaaten, Eschborn, 1995.
34. Kurzynsky-Singer E., Transformation Der Russischen Eigentumsordnung, Mohr Siebeck, 2019.
35. Schlosser H., Grundzüge Der Neueren Privatrechtsgeschichte. Rechtsentwicklungen im europäischen Kontext, 10 Auflage, Heidelberg, 2005.
36. Von Lingenthal K.E.Z., Geschichte Des Griechisch-Römischen Rechts, Aalen in Württemberg, 1955.
37. Акюнал Т., О глобальной рецепции Швейцарского гражданского права в Турции, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1992, №2.
38. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890.

39. *Коркунов Н. М.*, Лекции по общей теории права, СПб, 1898.
40. *Сокольский В.*, Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI, журн. Мин. Нар. Просв., СПб, 1897.
41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 10 დეკემბრის №1/5/224 გადაწყვეტილება.
42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე: „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
44. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე.